პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი
№ 50 (10444)

ოთხშაბათი, 29 თებერვალი, 1956 წ.

ფასი 20 კაპ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა მოუწოდებს ყველა მუშას, კოლმეურნეებს, საბჭოთა ინტელიგენციას გააჩაღონ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მეექვსე ხუთწლედის განხორციელება იქნება წინ გადადგმული ახალი დიდი ნაბიჯი სოციალისტური ეკონომიკის განვითარებაში, სახალხო მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის გადაჭრაში, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის დირექტივებიდან სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-1960 წლების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის პროგრამა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა, რომელიც 14-დან 25 თებერვლამდე მიმდინარეობდა მოსკოვში, უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

XX ყრილობამ განსაკუთრებული ძალით ცხადყო ჩვენი პარტიის ურღვევი ერთიანობა, მისი რიგების სიმტკიცე და უძლეველობა, პარტიის უსაზღვრო ერთგულება ლენინიზმის დიადი იდეებისადმი, მისი მჭიდრო დაკავშირებულობა ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, პარტიისა და ხალხის განუყოფელი კავშირი.

ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესითა და ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ყრილობის მუშაობას. ყრილობამ მოისმინა და განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის მოხსენება ცენტრალური სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენება — დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, მიიღო დადგენილებანი პარტიის ახალი პროგრამის მომზადებისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებაში ნაწილობრივ ცვლილებათა შეტანის შესახებ, აირჩია ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური სარევიზიო კომისია.

მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის აზრი და მისწრაფებანია გამოხატული ყრილობის მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებაში: მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის წინადადებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს მისი საანგარიშო მოხსენება.

ყრილობის გადაწყვეტილებანი, ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში მოცემული წინადადებები და დასკვნები პარტიას, საბჭოთა ხალხს აიარაღებენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამით.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ლენინური პოლიტიკისა და საბჭოთა ხალხის გმირული შრომის შედეგად, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან მჭიდრო თანამშრომლობით, მიღწეულია უდიდესი წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ყრილობამ მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში განხორციელებული სწორი და დროული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ ზრდას, სოციალისტური ეკონომიკის ახალ მძლავრ აღმავლობას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმატებითს საქმიანობას, — ნათქვამია ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, — საფუძვლად ედო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი გამოყენება, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპების უაღრესად მტკიცედ დაცვა, განუხრელად შესრულება ლენინის მითითებებისა ხალხთან ჩვენი პარტიის განუყოფელი კავშირის შესახებ. მთელი ამ წლების მანძილზე პარტიას მაღლა ეჭირა უკვდავი ლენინის დიადი დროშა“.

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში გაკეთებულია მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი თეორიული დასკვნები, რომლებიც წარმოადგენენ მარქსიზმ-ლენინიზმის შემდგომ შემოქმედებითს განვითარებას ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე. მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაში შეტანილ ძვირფას წვლილს წარმოადგენენ დასკვნები ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის, სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნის გადასვლის ფორმების შესახებ.

ყრილობამ დაამტკიცა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დირექტივები, რომლებშიც დასახულია სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი მძლავრი აღმავლობა. ახალი ხუთწლედი წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის გზაზე.

ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიასა და მთელ საბჭოთა ხალხს აძლევენ ნათელ პერსპექტივებს და უნერგავენ გამარჯვებისადმი ურყევ რწმენას, აღფრთოვანებენ და რაზმავენ მათ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალი წარმატებების მოპოვებისათვის საბრძოლველად.

ჩვენი სამშობლოს ქალაქებსა და სოფლებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში იმართება ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად საქართველოს მშრომელები, რომლებიც პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით არიან აღფრთოვანებულნი, ახალი ძალით აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების შესრულებისათვის. დღითიდღე იზრდება მშრომელთა პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა, მასების შემოქმედებითი აქტივობა.

კომუნისტები, ყველა მშრომელი უდიდესი ინტერესით ეცნობიან და სწავლობენ პარტიის XX ყრილობის მასალებს. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს ახლა დაკისრებული აქვთ დიდი და პასუხსაგები ამოცანა — მოაწყონ მასებში ყრილობის მასალების, მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფართო პროპაგანდა. ამ საქმეში უნდა ჩავაბათ პროპაგანდისტთა და აგიტატორთა საუკეთესო ძალები, უნარიანად გამოვიყენოთ პრესა და რადიო, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალება. საჭიროა ყრილობის მასალების პროპაგანდა მჭიდროდ დავუკავშიროთ ყრილობის გადაწყვეტილებების, მის მიერ დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლას.

უკვდავი ლენინის მიერ შექმნილი ჩვენი სახელოვანი პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი, XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულნი, ლენინიზმის უძლეველი დროშით ახალ გამარჯვებებს მიაღწევენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

დეპეშა

მის უმაღლესობას მუჰამედ დაუდს, ავღანეთის პრემიერ-მინისტრს

ქაბული

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის ხელშეკრულების ხელმოწერის 35-ე წლისთავის გამო გთხოვთ თქვენ, თქვენო უმაღლესობავ, და ავღანეთის მთავრობას, მიიღოთ საბჭოთა კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა.

სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულებამ, რომელიც ხელმოწერილია 1921 წლის 28 თებერვალს, კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაზე და წარმოადგენს ჩვენს ქვეყნებს შორის მშვიდობისა და ნდობის შემდგომი განმტკიცების მყარ საფუძველს.

საბჭოთა მთავრობას გულწრფელად სურს, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ავღანეთის ხალხების მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ორივე ქვეყნისა და მშვიდობის საყოველთაო საქმის განმტკიცების ინტერესებისათვის.

გულითადად გისურვებთ ბედნიერებასა და ჯანმრთელობას, აგრეთვე აყვავებას მეგობარ მეზობელ ავღანეთს.

ნ. ბულგანინი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის დამთავრებისადმი მიძღვნილი მიტინგი სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში. ტრიბუნაზეა საქვაბე საამქროს ხარატი გ. პავლიაშვილი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ლაპარაკობენ მაღაროელები

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომელთა განხილვა ხდება ყველა მაღაროში და საწარმოში.

გამოჩენილმა ჭიათურელმა ნოვატორმა, მბურღავმა კ. ნადირაძემ, გაეცინო რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, განაცხადა:

— მე და ჩემი ამხანაგები, ისევე როგორც ჭიათურის ყველა მაღაროელი, მთელი საბჭოთა ხალხი, მხურვალედ ვიწონებთ ჩვენი დიადი პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ხალხთა შორის მეგობრობის გაძლიერებას და მშვიდობის განმტკიცებას. ვკისრულობ მიმდინარე წლის რვა თვის განმავლობაში შევასრულო ერთი წლის გეგმა და მოვუწოდებ ყველა მაღაროელს გააჩაღონ ბრძოლა ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა ყრილობის მუშაობის დამთავრების დღეები აღნიშნა იანვარ-თებერვლის დავალების ვადამდე შესრულებით, გეგმის გადამეტებით ამოიღო რამდენიმე ათასი ტონა მადანი.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველსაყოფად ჭიათურელმა მაღაროელებმა იკისრეს წელს სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ათეულ ათასობით ტონა მაღალხარისხოვანი მადანი.

შრომითი აღმავლობა

გორი. (საკ. კორ.). ახალსოფლისა და ტყვიავის მტს-ებმა წარმატებით შეასრულეს ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების რემონტის წლიური გეგმები.

— ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის და ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებში, — თქვა მექანიზატორთა მიტინგზე ახალსოფლის მტს-ის დირექტორმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა დ. საამიშვილმა, — ნათლად არის ნაჩვენები საბჭოთა ხალხის შესანიშნავი მიღწევები, მოცემულია დიადი პროგრამა ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისა ტექნიკური პროგრესის და შრომის ნაყოფიერების გადიდების ბაზაზე. ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დასახულია მარცვლეულის წარმოების გადიდება 11 მილიარდ ფუთამდე. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში ახალსოფლელი მექანიზატორები სერიოზულ წვლილს შეიტანენ. მტს-ის კოლექტივმა გამოიანგარიშა თავისი შესაძლებლობანი და გადაწყვიტა წელს კოლმეურნეობებთან მჭიდრო თანამეგობრობით მტს-ის ზონაში საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანოს 28 ცენტნერი სიმინდი და თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს 1.000 კილოგრამი რძე.

მექანიზატორები და კოლმეურნეები კარგად იყენებენ ზამთრის დღეებს, მოემზადნენ საგაზაფხულო თესვისათვის, დასასრულს უახლოვდება საზამთრო სამუშაოები ბაღ-ვენახებში. ამ მხრივ გამოირჩევიან ბერშუეთის, ტყვიავის, ხელეთუბნის, შავშვებისა და ზეღდულეთის კოლმეურნეობები.

ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ხალხმრავალ მიტინგზე სადურგლო საამქროს მოწინავე ადამიანმა ი. ვოლსკიმ განაცხადა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ცხადყო მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევი ერთიანობა. ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, მთელ საბჭოთა ხალხთან, საქართველოს მშრომელებთან ერთად ახალი შრომითი გმირობისათვის აღაფრთოვანებს ჩვენი ქარხნის კოლექტივს, რომელიც სიტყვას იძლევა იმუშაოს თავდადებით, უზრუნველყოს მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულება.

ტრიბუნაზეა ქარხნის მთავარი ინჟინერი ნ. შანიძე.

კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, — თქვა მან, — ყველა საბჭოთა ადამიანს აძლევენ ნათელ პერსპექტივებს და ურყევ რწმენას, რომ გაიმარჯვებს უკვდავი ლენინის საქმე, გაიმარჯვებს კომუნიზმი მთელ მსოფლიოში.

პარტია გვავალებს ყველა საშუალებით განვავითაროთ ტექნიკური პროგრესი და მის საფუძველზე ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, რათა უმოკლეს ვადაში დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის გამოშვების მხრივ. ამისათვის უნდა ვიმუშაოთ თავდადებით, უზრუნველვყოთ ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა.

სახელმოხვეჭილმა მექვაბემ ა. კერვალიშვილმა მიტინგზე განაცხადა, რომ სულით და გულით იწონებს და მიესალმება პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს. ჩვენ, ამბობს იგი, არ დავიშურებთ ენერგიას იმისათვის, რომ წარმატებით შევასრულოთ საწარმოო დავალებანი. ჩვენმა მექვაბეთა ბრიგადამ იკისრა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულოს 15 მარტისათვის.

მიტინგზე პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე ხარატმა ზ. პავლიაშვილმა, ქარხნის ფელმა მუშამ ოსტატმა გ. ანთაძემ და სხვ.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა მხურვალედ მოიწონა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი, პირობა მისცა მშობლიურ პარტიას, რომ გააძლიერებს ბრძოლას მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე, პირნათლად შესრულებისათვის. კერძოდ, ქარხნის კოლექტივმა იკისრა მიმდინარე წლის საწარმოო დავალებები შეასრულოს 21 დეკემბრისათვის, გეგმის გადაჭარბებით გამოუშვას ერთი მილიონი მანეთის პროდუქცია.

რიგმული მუშაობის განმტკიცებით

ქუთაისი. (საკ. კორ). ქალაქის ფაბრიკა-ქარხნებში გაიმართა პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი ხალხმრავალი მიტინგები.

მანქანათმშენებელ ქარხანაში მიტინგზე შეიკრიბა ათასამდე კაცი. სიტყვით გამოვიდა პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი მ. გვასალია.

ტრიბუნაზეა საექსკავატორო საამქროს მუშა ბ. სიმაკოვი. მან განაცხადა:

— მეექვსე ხუთწლედში ქუთაისელ მანქანათმშენებელთა წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. წელს ჩვენს ქარხანას დავალებული აქვს 230 პროცენტით გაზარდოს ექსკავატორების გამოშვება. ეს ჩვენგან მოითხოვს შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, რიტმული მუშაობის განმტკიცებას, ტექნიკის თანამედროვე მიღწევების ფართოდ დანერგვას, მოწინავეთა გამოცდილების გადაქცევას მასების კუთვნილებად. მე ვალდებულებას ვკისრულობ ყოველთვიური გეგმა 110 პროცენტით შევასრულო.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში მანქანათმშენებლები ერთხმად იწონებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და კისრულობენ წლიური გეგმა შეასრულონ 21 დეკემბრისათვის, თვითღირებულება შეამცირონ ერთნახევარი პროცენტით, შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 16 პროცენტით.

პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილი მიტინგები გაიმართა საავტომობილო ქარხანაში, აბრეშუმკომბინატში, ადგილობრივი მრეწველობისა და რკინიგზის კვანძის საწარმოებში.

ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმელ მენავთობეთა კულტურის სასახლის ნათელ დარბაზში პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებისადმი მიძღვნილ მიტინგზე თავი მოიყარეს სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა. ყრილობის მუშაობის შესახებ ინფორმაციით გამოვიდა ქარხნის დირექტორი ზ. ფირიაშვილი.

— ჩვენი ქარხნის კოლექტივი, — ამბობს ერთ-ერთი დანადგარის უფროსი პ. კვაჭაძე, — სასახელო მაჩვენებლებით შეხვდა პარტიის XX ყრილობას. გასულ ხუთწლედში სამშობლოს გეგმის გადამეტებით მივეცით რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის ძვირფასი ნავთობპროდუქტები. ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების გზაზე. ჩვენი დანადგარის მომსახურე ჯგუფის სახელით ვკისრულობ ყოველთვიური დავალება 103 პროცენტით შევასრულოთ, გეგმის გადამეტებით გამოვუშვათ ათასობით ტონა ნავთობპროდუქტები, დიდი რაოდენობით დავზოგოთ ელექტროენერგია და ორთქლი.

ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ბათუმელი მენავთობეები იწონებენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და ვალდებულება აიღეს 21 დეკემბრისათვის შეასრულონ წლიური დავალება, გეგმის გადამეტებით მისცენ სამშობლოს მილიონობით მანეთის პროდუქცია.

მიტინგები გაიმართა აგრეთვე ბათუმის მანქანათმშენებელ და გემთშემკეთებელ ქარხნებში, სავაჭრო ნავსადგურსა და რკინიგზის საწარმოებში.

მეჯი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი—სამშობლოს

რუსთავი. (საკ. კორ.). პარტიის XX ყრილობის მიმდინარეობის ისტორიულ დღეებში რუსთავის მეტალურგები მუშაობდნენ ისე, როგორც არასოდეს. მათ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ძვირფასი შრომითი საჩუქრებით დაუდასტურეს თავიანთი ერთგულება. მემარტენეებმა და მილსაგლინავი საამქროს დგან 140-ის მგლინავებმა ყრილობის მუშაობის დამთავრების დღეს — 25 თებერვალს შეასრულეს თვის დავალება.

მილსაგლინავ და წვრილსორტულ საამქროთა გაერთიანებულ მიტინგზე, რომელიც პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს მიეძღვნა, ზეინკალმა შ. ბოსტაშვილმა აღნიშნა:

— XX ყრილობის გადაწყვეტილებათა თვითეულ პუნქტში ნათლად ჩანს ჩვენი ხალინდელი ცხოვრების უფრო ბედნიერი მომავალი, სახალხო მეურნეობის ყველა ფრონტზე მხოლოდ ენერგიული, თავდადებული შრომით ძივაღწევთ კომუნიზმის ნათელ მიზანს. მეტი ფოლადი, თუჯი, ნაგლინი, მილები! — აი რა იქნება ჩვენი — მეტალურგების ღირსეული წვლილი ამ დიად საქმეში.

პატრიოტული სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე გლინვის ოსტატებმა ე. ბაბაკმა, ი. იუდავინმა და სხვებმა. მილმგლინავთა კოლექტივის სახელით მათ იკისრეს: ვადამდე შეასრულონ 1956 წლის დავალება, გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3.000 ტონა მილები, 25 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

მეშახტეთა სიტყვა

ტყიბული. (საკ. კორ.). ტყიბულელი მეშახტეები უდიდესი აღფრთოვანებით ეცნობიან პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ერთსულოვნად იწონებენ მათ. სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო ყრილობის გადაწყვეტილებების გასაცნობად, მოწინავე მნგრეველმა ი. სოფრომაძემ განაცხადა:

— ტყიბულელი მეშახტეები მტკიცე ღაპირებას ვაძლევთ სამშობლოს, რომ უზრუნველვყოფთ ქვანახშირის მზარდი რაოდენობით მოპოვებას. ჩვენს მეტალურგებს, რკინიგზელებს, მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ყველა დარგის საწარმოთა კოლექტივებს შეუფერხებლად მივაწვდით ქვანახშირს, რათა ამით საშუალება მივცეთ ვადამდე შეასრულონ ნაკისრი საწარმოო ვალდებულებანი. პირადად მე გკისრულობ წელს ქვანახშირის მონგრევის ყოველთვიური დავალება შევასრულო სულ ცოტა 130 პროცენტით.

კრებაზე სიტყვებით გამოსულმა მოწინავე მეშახტეებმა ა. ყიფშიძემ, ი. არსენიძემ, ვ. სამანიშვილმა მხურვალედ მოიწონეს ყრილობის გადაწყვეტილებანი.

გაღიდებული ვალდებულებები იკისრეს

მცხეთა. (სპეც. კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა და ამ ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის მოხსენებებმა უდიდესი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა გამოიწვია სოფელ მუხრანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებში.

გუშინ მუხრანელ კოლმეურნეებს ყრილობის მასალებზე ესაუბრა აგიტატორი ამხ. ქ. იორამაშვილი.

აგიტატორის საუბრის დამთავრების შემდეგ კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივნის მოადგილემ ამხ. გ. აბუაშვილმა განაცხადა:

— ჩვენ, კოლმეურნეები, ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ, რომ სათანადო წვლილი შევიტანოთ პარტიის მიერ დასახულ დიად მშენებლობათა პროგრამის განხორციელებაში. კოლმეურნეთა პირობაა წელს 40 ჰექტარით გაადიდონ სიმინდის ფართობი, სულ 120 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 45 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერისა, 340 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 22 ცენტნერი ხორბალი ნაცვლად 13 ცენტნერისა, ხოლო 65 ძროხიდან თვითეულზე მიიღონ 1.300 ლიტრი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 800 ლიტრისა.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე ბრიგადირებმა ტ. მარღიშვილმა, ა. ტატიშვილმა, მეცხოველეობის ფერმის მუშაკებმა დ. პაპიაშვილმა, ა. მანქანაშვილმა და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვის გაგრძელება

(დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 49.)

საბჭოთა კავშირს ყველა საჭირო პირობა მოეპოვება იმისათვის, რომ ისტორიულად მოკლე ვადებში დაეწიოს და გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს ელექტროენერგიის წარმოებაში

საანგარიშო მოხსენებაში დასახული პერსპექტივები და პროექტი დირექტივებისა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, რომელიც ცენტრალურმა კომიტეტმა წარმოადგინა პარტიის XX ყრილობის განსახილველად, მოასწავებენ დიდ წინგადადგმულ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის საქმეში. ელექტროენერგიის გამომუშავების მატება ხუთი წლის განმავლობაში 150 მილიარდი კილოვატსაათი იქნება. მაშინ როცა სამრეწველო პროდუქცია 1960 წელს გადიდდება 65 პროცენტით, „ა“ ჯგუფის დარგების პროდუქცია გაიზრდება 70 პროცენტით და მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების წარმოების მოცულობა გადიდდება 80 პროცენტით, ელექტროენერგიის გამომუშავების ზრდა გათვალისწინებულია 88 პროცენტით.

ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების ასეთი ტემპები საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროფიკაცია და უზრუნველვყოთ შრომის ელექტროაღჭურვილობის ზრდა მრეწველობაში 65 პროცენტით, მაშინ როცა შრომის ნაყოფიერება დავალებით უნდა გადიდდეს დაახლოებით 50 პროცენტით.

ვადგენთ რა ჩვენს გეგმებს ელექტროფიკაციის დარგში, არ შეგვიძლია არ გავითვალისწინოთ ის, რომ ამჟამად სსრ კავშირი, როგორც ცნობილია, ელექტროენერგიის წარმოების დონით ჩამორჩება ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ბუნებრივია, იბადება კითხვა — რა პირობები მოგვეპოვება და რა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ვამტკიცოთ, რომ სსრ კავშირს შეუძლია შედარებით მოკლე ვადებში დაძლიოს ჩვენი ჩამორჩენა, უზრუნველყოს ელექტროენერგიაზე სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება, დაეწიოს, ხოლო შემდეგ კიდევაც გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს ელექტროენერგიის წარმოების დარგში?

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის თანამედროვე ენერგეტიკული ბაზა მთლიანად შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ცნობილია, რომ რევოლუციამდელი რუსეთის სათბობ-ენერგეტიკული მეურნეობა მეტად ჩამორჩენილი და არარაციონალურად ორგანიზებული იყო; ელექტროსადგურების საერთო სიმძლავრე 1913 წელს შეადგენდა 1 მილიონ კილოვატს და გამომუშავება დაახლოებით 1,9 მილიარდ კილოვატსაათს. ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს ჰქონდათ ელექტროსადგურთა დადგმული სიმძლავრე 6 მილიონი კილოვატი და 22 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის გამომუშავება.

იმისათვის, რომ ელექტროენერგიის გამომუშავება 22 მილიარდიდან აეყვანათ 170 მილიარდ კილოვატსაათამდე, ამერიკის შეერთებულ შტატებს დასჭირდათ 27 წელიწადი (1913-დან 1940 წლამდე). საბჭოთა კავშირს ელექტროენერგიის გამომუშავების იმავე ოდენობით გადიდებისათვის დასჭირდა, ომის წლების ჩათვლით, 20 წელიწადი (1935-დან 1955 წლამდე). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ დროის ამ პერიოდში ჩვენ ექვსი წელი მოვანდომეთ ელექტროენერგიის ომამდელი გამომუშავების აღდგენას იმ მძიმე ზარალთან დაკავშირებით, რაც ფაშისტმა დამპყრობლებმა მიაყენეს ჩვენს ენერგეტიკას, უნდა მივიჩნიოთ, რომ საბჭოთა კავშირს იმისათვის, რომ ელექტროენერგიის გამომუშავება 22 მილიარდიდან გაედიდებინა 170 მილიარდ კილოვატსაათამდე, დასჭირდა დაახლოებით 14 წელი, ესე იგი თითქმის ორჯერ ნაკლები დრო, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებს.

პირველი ხუთწლედის დამდეგს საბჭოთა კავშირში ელექტროენერგიის გამომუშავება 1,9-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე იტალიაში; 2,6-ჯერ ნაკლები, ვიდრე საფრანგეთში; 3-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში; 5,6-ჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში, 21-ჯერ ნაკლები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ისეთ პატარა ქვეყანაშიც კი, როგორიც არის შვეიცარია, ელექტროენერგიის გამომუშავება 1928 წელს მეტი იყო, ვიდრე სსრ კავშირში.

ძირეული ცვლილებები შეიტანა პირველი და მეორე ხუთწლედების წლებმა, როდესაც ახლად რეკონსტრუირებულ და შექმნილ იქნა სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზა. „გოელროს“ გეგმის დავალებანი შესრულდა 1930 წელს. კიდევ ათი წლის შემდეგ სსრ კავშირი ეჯიბრებოდა გერმანიას პირველი ადგილისათვის ევროპაში და მეორე ადგილისათვის მსოფლიოში. ამჟამად სსრ კავშირს მტკიცედ უკავია მეორე ადგილი მსოფლიოში და აწარმოებს დაახლოებით იმდენ ელექტროენერგიას, რამდენსაც ევროპის ორი, მრეწველობის მხრივ ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური სახელმწიფო — დიდი ბრიტანეთი და დასავლეთი გერმანია, ერთად აღებული.

იწყებდა რა ენერგეტიკული ბაზის შექმნას, ჩვენს ქვეყანას არ ჰქონდა თავისი ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის მრეწველობა. ელექტროსადგურთა მთელ ძირითად მოწყობილობას—ტურბინებს, ქვაბებს, ტრანსფორმატორებს, აპარატურას — ვიძენდით საზღვარგარეთ. ამასთან ყოველთვის როდი გვქონდა შესაძლებლობა გვესარგებლა უცხოეთის ტექნიკის საუკეთესო მიღწევებით. ახლა ჩვენ გვაქვს ჩვენი მძლავრი ტურბინმშენებელი, ქვაბმშენებელი და ელექტროტექნიკური მრეწველობა. ახლა ჩვენს ქარხნებს შეუძლიათ ყოველგვარი უახლესი მოწყობილობის კონსტრუირება და აშენება. მოწყობილობა პირველი თბოელექტროსადგურისა 150-ათასკილოვატიანი ტურბინებით, მძლავრი ტურბინები, გენერატორები, ტრანსფორმატორები ვოლგის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურებისათვის, მოწყობილობა მსოფლიოში ყველაზე შორი და მძლავრი ელექტროგადამცემი ხაზისათვის კუიბიშევი-მოსკოვი, რომლის ძაბვა შეადგენს 400 კილოვოლტს, აგებულია საბჭოთა ადამიანების მიერ საბჭოთა ქარხნებში. საბჭოთა ენერგომანქანათმშენებელი ქარხნების საწარმოო სიმძლავრენი არა მარტო აკმაყოფილებენ ჩვენს საშინაო მოთხოვნილებებს, არამედ საშუალებას გვაძლევენ დიდი დახმარება გავუწიოთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, სახალხო დემოკრატიის ბევრ ქვეყანას, გავიტანოთ ენერგომოწყობილობა სხვა ქვეყნებში.

თუ მხედველობაში ვიქონიებთ ისეთ გადაწყვეტ პირობას, როგორიც არის ჩვენი ქვეყნის უზრუნველყოფა ენერგეტიკული რესურსებით, შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა კავშირს ეს რესურსები აქვს ისეთი ოდენობით, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ განვაახორციელოთ ენერგეტიკის განვითარება იმ დონემდე, რომელიც გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ენერგიის ისეთი წყაროების გამოვლინებული რესურსები, როგორიც არის მაგარი სათბობი, ნავთობი, ბუნებრივი გაზი და ჰიდრავლიკური ენერგია, სსრ კავშირში შეადგენს, პირობითს სათბობზე გადაყვანით, 1.590 მილიარდ ტონას, შეერთებულ შტატებში — 1.550 მილიარდ ტონას, ევროპაში, სსრ კავშირის გამოკლებით — 730 მილიარდ ტონას, ინგლისში — 175 მილიარდ ტონას, დასავლეთ გერმანიაში — 245 მილიარდ ტონას. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ სსრ კავშირში წიაღი გაცილებით უფრო ნაკლებად არის შესწავლილი, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში, და რომ, მაშასადამე, ენერგეტიკული სიმდიდრე ჩვენში სრულიადაც არ არის მთლიანად გამოვლინებული, ხოლო მისი საუკეთესო ნაწილი გაცილებით ნაკლებად არის გამოყენებული, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპაში.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ჰიდროენერგორესურსებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, ეს განისაზღვრება 1.700 მილიარდი კილოვატსაათის ოდენობით, ამასთან ყველაზე ეფექტიანი ნაწილი ჰიდროენერგეტიკული რესურსებისა, რომელთა გამოყენება შესაძლებელია უმთავრესად დიდ ჰიდროელექტროსადგურებში, ვარაუდით შეადგენს 1.200 მილიარდ კილოვატსაათს. ეს არის ეგრეთწოდებული, საერთაშორისო ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, ეკონომიური პოტენციალი ჰიდრავლიკური ელექტროენერგიისა. შესაბამისი პოტენციალი ევროპისათვის სსრ კავშირის გამოკლებით განსაზღვრულია 514 მილიარდი კილოვატსაათის, ამერიკის შეერთებული შტატებისათვის — 491 მილიარდი კილოვატსაათის, კანადისათვის — 325 მილიარდი კილოვატსაათის ოდენობით. მაშასადამე, სსრ კავშირის ჰიდროენერგორესურსები, ეკონომიური პოტენციალის მხრივ, თითქმის უდრის ერთად აღებული ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ჰიდროენერგორესურსების შესაბამის ნაწილს.

ამავე დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი არცთუ მცირემნიშვნელოვანი, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. საზღვარგარეთ, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში, ჰიდროენერგეტიკული მშენებლობა ვითარდებოდა ისე, რომ უმთავრესად იყენებდნენ ჰიდროენერგორესურსების ყველაზე ეფექტიან ნაწილს, ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის ხელსაყრელი პირობებით, კლდოვან ფუძეებით. სსრ კავშირში, ისტორიული პირობების გამო, უწინარეს ყოვლისა ვიყენებდით ვაკე ზონის ჰიდროენერგორესურსებს, რაც დაკავშირებულია ჰიდროკვანძების მშენებლობასთან რბილ ფუძეზე. საბჭოთა სპეციალისტებმა შეიმუშავეს არაკლდოვან ფუძეებზე ჰიდროსადგურების აგების ტექნიკური საფუძვლები. ვაკის მდინარეებზე ჰიდროკვანძების მშენებლობა მოითხოვდა შეფარდებით დიდ კაპიტალდაბანდებებს და ამერიკის ჰიდროელექტროსადგურებთან შედარებით ნაკლებად ეფექტიანი იყო.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მნიშვნელოვანწილად გამოიყენეს თავიანთი ყველაზე ეფექტიანი ჰიდროენერგორესურსები. ედისონის ინსტიტუტის შეფასებით, მთელი ეკონომიური ჰიდროენერგეტიკული რესურსები, განსაკუთრებით შეერთებული შტატების აღმოსავლეთ ნაწილში, უკვე გამოყენებულია.

საბჭოთა კავშირს აქვს უპირატესობანი იმ მხრივ, რომ მისი ყველაზე ეფექტიანი ჰიდროენერგეტიკული რესურსები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებია, პრაქტიკულად ჯერ ხელუხლებელია. იგივე უნდა ითქვას სათბობის რესურსების შესახებ. საბჭოთა კავშირს მოეპოვება ქვანახშირის უდიდესი რესურსები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც ისინი თითქმის ხელუხლებელი, გამოუყენებელია.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს, რომ საანგარიშო მოხსენებაში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა ჯერეროვანი ყურადღება დაუთმო ჩვენს ქვეყანაში წარმოების განლაგების პრობლემას.

მართლაც, წარმოების სწორ გეოგრაფიულ განლაგებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ძირითადი ეკონომიური ამოცანის უფრო სწრაფად და წარმატებით გადაჭრისათვის. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების სამრეწველო განვითარების გაძლიერებისა და ათვისების კურსი პარტიის ძირითადი ხაზია საწარმოო ძალების განლაგების დარგში. ამ მხრივ მიღწეულია არსებითი წარმატებანი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ შეხუთე ხუთწლედში ნედლეულითა და ენერგიით მდიდარი ისეთი რაიონების ხვედრითი წონა, როგორიც არის ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი, საერთო საკავშირო სამრეწველო წარმოებაში უმნიშვნელოდ გაიზარდა. ამ რაიონების ხვედრითი წონა ელექტროენერგიის გამომუშავებაში ამ უკანასკნელი წლების მანძილზე პრაქტიკულად თითქმის არ შეცვლილა.

ძირეულ გაუმჯობესებას რომ მივაღწიოთ მრეწველობისა და ენერგეტიკის განლაგების საქმეში, წინ რომ წავწიოთ შრომის ნაყოფიერება და შევამცირეთ ვადები, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ ეკონომიურად გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს, სახალხო-სამეურნეო ბრუნვაში ფართოდ უნდა ჩავაბათ ციმბირის უდიდესი ბუნებრივი სიმდიდრენი.

საქმე ის არის, რომ აღმოსავლეთ ციმბირში და, უწინარეს ყოვლისა, მდინარეების ანგარისა და ენისეის რაიონებში საბჭოთა კავშირს აქვს ჰიდროენერგიის, სათბობისა და ნედლეულის ნამდვილად უნიკალური რესურსები. აქ თავმოყრილია მთელი საბჭოთა კავშირის ენერგეტიკული რესურსების 40 პროცენტზე მეტი. აღმოსავლეთ ციმბირის მდინარეების — ენისეის, ანგარის, ლენის, ვიტიმისა და სხვების — წყლის ენერგიის მარაგი აღემატება ჰიდროენერგიით ყველაზე მდიდარი ისეთი კაპიტალისტური ქვეყნების ჰიდროენერგიის რესურსებს, როგორიც არიან ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და იაპონია. ენერგეტიკული გამოყენებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელია მდინარეები ანგარა და ენისეი. მდინარე ანგარის გამოყენების სქემით, რომელიც მთავრობამ დამტკიცა, გათვალისწინებულია ამ მდინარეზე აშენდეს 10 მილიონ კილოვატზე მეტი საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, რომლებიც გამოიმუშავებენ 70 მილიარდამდე კილოვატსაათს. წელს მუყობრში ჩადგება ანგარის კასკადის პირველი ჰიდროელექტროსადგური — 660 ათასი კილოვატი სიმძლავრის ირკუტსკის ჰიდროელექტროსადგური. ამ ჰიდროელექტროსადგურის კაშხალი ამაღლებს ბაიკალის ტბის დონეს, სადაც შეიქმნება უზარმაზარი წყალსაცავი, რომელიც კარგად მოაწესრიგებს ყველა ქვემოთ მდებარე ჰიდროელექტროსადგურისათვის წყლის მიწოდებას. გაჩაღებულია მუშაობა მსოფლიოში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ბრატსკის ჰესის ასაგებად.

კიდევ უფრო დიდი ჰიდროელექტროსადგურები შეიძლება აშენდეს მდინარე ენისეიზე. ამ სადგურების საერთო სიმძლავრე 20 მილიონამდე კილოვატი იქნება და ისინი 130 მილიარდ კილოვატსაათს გამოიმუშავებენ.

იმ ჰიდროელექტროსადგურებს, რომელთა მშენებლობაც დასახულია ანგარასა და ენისეიზე, ექნებათ ელექტროენერგიის ისეთი საერთო გამომუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად გადააჭარბებს სსრ კავშირის ყველა ელექტროსადგურის 1955 წლის გამომუშავებას და რომელიც წელიწადში 120 მილიონი ტონა სათბობის მოპოვების თანაბარი იქნება. ამ ენერგიის მისაღებად საჭირო იქნება საშუალოწლიური გამომუშავების კილოვატსაათზე დაახლოებით 35-40 კაპიკი ხვედრითი კაპიტალდაბანდებანი და მისი თვითღირებულება — დაახლოებით 1 კაპიკი კილოვატსაათზე, ესე იგი ხარჯი 2-3-ჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე სსრ კავშირის სხვა რაიონების ჰიდროელექტროსადგურებზე.

ანგარა-ენისეის რაიონშია ქვანახშირის დიდი საბადოები, რომლებიც გამოსადეგია ღია დამუშავებისათვის. შრომის ნაყოფიერება ანგარა-ენისეის რაიონის ქვანახშირის ამოღებაში 2 — 2,5-ჯერ მეტია შრომის საშუალო ნაყოფიერებაზე მთლიანად სსრ კავშირისათვის ქვანახშირის ღია დამუშავებაში. კანსკ-ენისეისა და ირკუტსკ-ჩერემხოვის ქვანახშირების თვითღირებულება 3 — 5-ჯერ ნაკლებია სსრ კავშირის ქვანახშირის სხვა ძირითადი ბაზების ქვანახშირის თვითღირებულებაზე. იაფი სათბობის საფუძველზე შეიძლება აშენდეს მაღალეფექტიანი თბოელექტროსადგურები, რომელთაგან თვითეულის სიმძლავრე მილიონნახევარ კილოვატამდე იქნება.

ციმბირი, და განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილი, მდიდარია არა მარტო ენერგეტიკული რესურსებით, არამედ ნედლეულის უდიდესი რესურსებითაც, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარება უდიდესი მასშტაბებით. აქ თავმოყრილია რკინის მადნების, ნედლეულის დიდი მარაგი, რომელიც საჭიროა ალუმინის, მაგნიუმის, ნიკელის, კარბიდ-კალციუმის, სინთეზური კაუჩუკის, ქლორისა და სხვა პროდუქტების წარმოებისათვის. მაგრამ რაიონის ეს ბუნებრივი სიმდიდრენი, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებელია. ნეფელინებს, ბოქსიტებს, მაგნეზიტებს, რკინის მადნებს ჯერ სულაც ვერ ვიყენებთ.

ციმბირის რაიონების ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტი იქნება ციმბირის უდიდესი ენერგეტიკული სისტემის შექმნა, რომელიც მოიცავს ანგარა-ენისეის რაიონისა და კუზბასის ძირითად ელექტროსადგურებსა და სამრეწველო კვანძებს. ბრატსკისა და კრასნოიარსკის 6,4 მილიონი კილოვატი საერთო სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების ამუშავების შემდეგ აშენდება 400 კილოვოლტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, რომლებიც ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურს დაუკავშირებენ ირკუტსკ-ჩერემხოვის ენერგოსისტემასთან, შემდეგ ბრატსკის ჰიდროელექტროსადგურს — კრასნოიარსკის ჰიდროელექტროსადგურთან (ტაიშეტ-კანსკის რაიონებით) და კრასნოიარსკის ჰესს დაუკავშირებენ კუზბასთან. შემდეგში მაღალი ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზები ბრატსკის ჰესს დაუკავშირებენ ტუსტ-ილიმისა და ბოგუჩანსკის დიდ ჰიდროელექტროსადგურებთან ანგარაზე, რომელთაგან თვითეულის სიმძლავრე დაახლოებით 3 მილიონი კილოვატი იქნება, და ენისეის ჰესთან მდინარე ენისეიზე, რომლის სიმძლავრე დაახლოებით 5 მილიონი კილოვატი იქნება. ციმბირის უზარმაზარი ენერგეტიკული სისტემა, რომელიც გაერთიანებს 50 მილიონზე მეტი კილოვატი საერთო სიმძლავრის უდიდეს ჰიდრავლიკურ და თბოელექტროსადგურებს, მსოფლიოში იქნება ენერგიის განუმეორებელი მაღალეფექტიანი წყარო, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში სარეგიონალო განვითარებისა და შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი გადიდების მძლავრი ფაქტორი. ამ სისტემაში ელექტროენერგიის გამომუშავება 15-20 წლის პერსპექტივაში შეიძლება აყვანილ იქნას 250-300 მილიარდ კილოვატ-საათამდე, ამასთან ენერგოტევად წარმოებათა — ალუმინის, მაგნიუმის, ტიტანის, ფეროშენადნობთა და სხვ. წარმოების მძლავრი კომპლექსების იაფი ენერგიით უზრუნველყოფასთან ერთად წარმოიშობა იმის შესაძლებლობა, რომ ციმბირის სისტემიდან 30-40 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგია გადაეცეს ურალს, რაც შესაძლებელს გახდის ძირეულად გაუმჯობესდეს ურალის ენერგეტიკული ბალანსი.

საბჭოთა კავშირი ენერგეტიკის დარგში, ისევე როგორც სოციალისტური მეურნეობის ყველა დარგში, მტკიცედ დაადგა ახალ, უფრო მაღალ ტექნიკურ დონეზე მისი განვითარების განხორციელების გზას.

საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ დავიწყოთ ორთქლის მაღალი პარამეტრების დიდი სიმძლავრის აგრეგატებიანი დიდი ელექტროსადგურების მშენებლობა. უკვე გასულ ხუთწლედში აგებული იყო 500-600 ათასი კილოვატი სიმძლავრის მთელი რიგი თბოელექტროსადგურები. მაგრამ ახლა ამას ვერ დავჯერდებით. საჭიროა ვაშენოთ უფრო მძლავრი—900-1.200 ათასი კილოვატი სიმძლავრის თბოელექტროსადგურები. უკვე დაიწყო ასეთი ელექტროსადგურების მშენებლობა უშუალოდ სათბობის მოპოვების რაიონებში. ამ სადგურებში დაიდგმება 150-200-300 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბინაგრეგატები და დიდი წარმადობის ქვაბები. დიდი ელექტროსადგურების მშენებლობაში ყველაზე მთავარი უპირატესობა, საშუალო სიმძლავრის სადგურებთან შედარებით ამ მშენებლობის მნიშვნელოვანი გაიაფების გარდა, ის არის, რომ მნიშვნელოვნად ჩქარდება ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მატების ტემპები. ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელ წლებში ენერგეტიკის სწრაფი ზრდა უმთავრესად უზრუნველყოფილი იყო დიდი სიმძლავრის თბოელექტროსადგურების მშენებლობით, რომლებშიც იდგმებოდა 150-260 ათასი კილოვატი სიმძლავრის დიდი ტურბინაგრეგატები. ჩვენი ენერგომანქანათმშენებელი მრეწველობა ვალდებულია რაც შეიძლება მალე მოაწყოს გეგმით დასახული მძლავრი ტურბინაგრეგატებისა და ქვაბების სერიული გამოშვება ისეთი ვარაუდით, რომ ყოველი სიმძლავრის ტურბინზე შეიძლებოდეს დაიდგას ერთი ქვაბი. ეს უზრუნველყოფს სათბობისა და კაპიტალდაბანდებათა დიდ ეკონომიას.

ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკის სწრაფი ზრდის უზრუნველყოფის დარგში ტექნიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ელემენტია ელექტროქსელების განვითარებისა და ენერგოსისტემების გაერთიანების საკითხი. უდიდესია ელექტროგადაცემის სასისტემათაშორისო ხაზების ეკონომიური ხელსაყრელობა. საკმარისია ითქვას, რომ, მაგალითად, ურალისა და ცენტრალურ ენერგოსისტემებში დატვირთვის მაქსიმუმების არაერთდროული გატარებით და ამ ენერგოსისტემების გაერთიანებისას საჭირო რეზერვის შესაძლებელი შემცირებით გაერთიანებულ სისტემაში საერთო დაზუსტებული სიმძლავრე შეიძლება შემცირდეს დაახლოებით 500 ათასი კილოვატით.

სსრ კავშირის ევროპული ნაწილის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ელექტრომომარაგების მაქსიმალურ მანევრულობასა და ეკონომიურობას და ამ მხრივ მოასწავებს ენერგეტიკის გადასვლას უფრო მაღალ ტექნიკურ საფეხურზე.

ფართო პერსპექტივები ისახება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი შეცნიერები და ინჟინრები დაეუფლნენ ახალ უმდიდრეს ენერგეტიკულ წყაროს — ატომგულის ენერგიას. ეს წყარო, რომლის მშვიდობიან გამოყენებაში სსრ კავშირი აღმოჩნდა სხვა ქვეყნების, მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების წინ, იძლევა ენერგეტიკულ სიმძლავრეთა მატების დიდ დამატებით შესაძლებლობებს. მსოფლიოში პირველი ატომის ელექტროსადგურის ამუშავებამ და მისი ექსპლოატაციის გამოცდილების დაგროვებამ, საბჭოთა მეცნიერებისა და ინჟინრების ახალმა გამოკვლევებმა შესაძლებელი გახადეს გაჩაღებულიყო მთელი რიგი მძლავრი ატომის ელექტროსადგურების დაპროექტებისა და მშენებლობის სამუშაოები. ჩვენი უპირატესობა ამ დარგში კიდევ ის არის, რომ სოციალისტური მეურნეობის პირობები ყველაზე უფრო უწყობენ ხელს იმას, რომ ატომგულის ენერგია ფართოდ შევიტანოთ ჩვენი ქვეყნის საერთო ენერგობალანსში, რომელიც ემსახურება მშვიდობიან განვითარებას.

ამრიგად, თუ მხედველობაში მივიღებთ გასულ პერიოდს, საბჭოთა კავშირმა დაამტკიცა, რომ აქვს უნარი მნიშვნელოვნად უფრო მოკლე ვადებში, ვიდრე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, მიაღწიოს ელექტროენერგიის წარმოებისა და მთელი ენერგეტიკული მეურნეობის განვითარების შესადარ დონეს. მიმდინარე ხუთწლედში ჩვენ ახალ დიდ ნაბიჯს გადავდგამთ ელექტროფიკაციის დარგში, განვახორციელებთ გეგმას, რომლითაც ელექტროენერგიის წარმოება გადიდდება თითქმის ერთიორად. სსრ კავშირს ახლა აქვს ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის საკუთარი მძლავრი ბაზა, რომელიც სულ უფრო ვითარდება. ჩვენს ქვეყანაში ენერგეტიკული რესურსების პრაქტიკულად აუთვისებელი ბუნებრივი მარაგია, რომლის ათვისება სულ უფრო წარმატებით ვითარდება. ჩვენ გვყავს დიდი არმია მაღალკვალიფიციური მუშებისა, სპეციალისტებისა, მეცნიერების მუშაკებისა, რომლებსაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ წარმოების განსწყვეტელი ტექნიკური გაუმჯობესება. ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა განვავითაროთ ენერგეტიკა ისეთ დონემდე, რომლის დროსაც სრულად დაკმაყოფილდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და მოსახლეობის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე.

ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საბჭოთა კავშირისათვის საესებით რეალური და შედარებით მოკლე ვადებში განსახორციელებელია ამოცანა — გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს ელექტროენერგიის წარმოების დარგში.

მარქსიზმ-ლენინიზმი ყოვლისმძლე მოძღვრებაა

ამხანაგებო! ჩვენ ისეთ დროს ვცხოვრობთ, როცა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება მარქსიზმ-ლენინიზმის კავშირი ეპოქის პრაქტიკულ ამოცანებთან. მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის სინამდვილე გავიგოთ მის რევოლუციურ განვითარებაში. ისტორიის ყოველი ახალი მობრუნების დროს განსაკუთრებით ნათლად ჩანს, თუ მარქსიზმ-ლენინიზმი — ყველაზე მოწინავე მოძღვრება — როგორ ახდენს თავის შემოქმედებითს ზემოქმედებას მსოფლიო ცივილიზაციის მსვლელობაზე, ადამიანთა საზოგადოების განვითარების ყველა მხარეზე.

რა უაღრესი სიმართლით გაისმის ახლა ვ. ი. ლენინის სიტყვები, რომ „ფილოსოფიის ისტორია და სოციალური მეცნიერების ისტორია სრული სიცხადით გვიჩვენებენ, რომ მარქსიზმში არაფერია „სექტანტობის“ მსგავსი რაღაც ისეთი კარჩაკეტილი, ერთ წერტილზე გაყინული მოძღვრების აზრით, რომელიც მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების შარაგზის **გარეშე** წარმოშობილიყოს“ (თხზულებანი, ტ. 19, გვ. 3).

მსოფლიო ცივილიზაციის ჩვენს დროში უმნიშვნელოვანესი მონაპოვრები, რომლებიც დაკავშირებულია მეცნიერების განვითარებასა და ტექნიკის სრულყოფასთან, განსაკუთრებით ნათლად ამტკიცებენ მარქსისტული მოძღვრების იმ დებულების სისწორეს, რომელიც, ლენინის სიტყვით, ის არის, რომ „კაპიტალიზმის ტექნიკა დღითიდღე და **უფრო და უფრო უსწრებს წინ** იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებიც მშრომელებს დაქირავებულ მონობას არგუნებენ“ (თხზულებანი, ტ. 19, გვ. 50). ჩვენს დროში, როგორც ეს სამართლიანად ხაზგასმით არის აღნიშნული საანგარიშო მოხსენებაში, კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა თანამედროვე საწარმოო ძალებსა და კაპიტალისტურ წარმოებითს ურთიერთობას შორის — კიდევ უფრო გამწვავდა.

მარქსისტული მოძღვრების ისტორიული როლი ის არის, რომ ამ მოძღვრებაში მოცემულია იმის მეცნიერული დასაბუთება, **რომ შრომა აუცილებლად გაიმარჯვებს** კაპიტალზე. „კაპიტალისტური წყობილება, კაპიტალისაგან მუშების დამოკიდებულების გაძლიერებასთან ერთად, გაერთიანებული შრომის უდიდეს ძალას ქმნის“; „კაპიტალიზმმა მთელ მსოფლიოში გაიმარჯვა, მაგრამ ეს გამარჯვება მხოლოდ წინამორბედია შრომის გამარჯვებისა კაპიტალზე“ (ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 8). კაპიტალიზმის აყვავების პერიოდში, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ასე გამოხატა ლენინმა ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში მარქსის უდიდესი აღმოჩენის — იმ საზოგადოებრივი ძალების აღმოჩენის არსი, რომლებსაც შეუძლიათ მოიტანონ ხსნა კაპიტალისტური ჩაგვრისაგან.

ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები და ფაქტები ამტკიცებენ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დებულების სისწორესა და დიად სასიცოცხლო ძალას, მოძღვრებისა, რომლითაც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს კომუნისტების პარტია.

მარქსიზმის ფილოსოფია დიალექტიკური მატერიალიზმია. „ბუნებისმეტყველების უახლესმა აღმოჩენებმა — რადიუმმა, ელექტრონებმა, ელემენტთა გარდაქმნამ — შესანიშნავად დაადასტურეს მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი, წინაალმდეგ იმ ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა მოძღვრებებისა, რომლებიც „ძველავ“ უბრუნდებიან ძველსა და დამპალ იდეალიზმს“, — ასე წერდა ვ. ი. ლენინი XX საუკუნის დამდეგს (თხზულებანი, ტომი 19, გვ. 5). ჩვენს დროში ატომის შინაგანი ძალების აღმოჩენა, ამ ძალების აღავმა და მათი დაუფლება მოწმობს მატერიის თვისებათა ახალ შეცნობას და დიადი ტრიუმფია მარქსისტული დიალექტიკისა, მოძღვრებისა, რომელიც, — როგორც ლენინი ამბობდა, — არის მოძღვრება „განვითარებაზე მისი ყველაზე სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძღვრება ადამიანის ცოდნის

(დასასრული მე-3 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ გ. მ. მალენკოვის სიტყვის დასასრული

...ფარდებითობაზე, რაც მუდმივს განთარებაში მყოფი მატერიის ანა...ელს გვაძლევს" (თხზულებანი, ტო... 19, გვ. 5).

...არქსიზმ-ლენინიზმის სრული გა...ულებაა საზოგადოების კაპიტალის...ული საფუძვლების კრახი ახლა უკვე ...ურ ქვეყანაში, რომლებიც მოიცავენ ...ე მილიონზე მეტ ადამიანს, და იქ ...ზოგადოების წარმატებითი გარდაქმნა ...ალ, სოციალისტურ საწყისებზე. ჩვე...ეპოქის მთავარი ნიშანი, როგორც ...ნიშნულია ცენტრალური კომიტე...ს საანგარიშო მოხსენებაში, ის არის, ...მ სოციალიზმი გასცდა ერთი ქვეყ...ს ფარგლებს და მსოფლიო სისტე...დ გადაიქცა.

...მთელ რიგ ქვეყნებს, რომლებიც სო...ალიზმის ბანაკში არ შედიან, კე...ლმეზობლური და მეგობრული ...თიერთობა აქვთ ჩვენთან. ბევრი მათ...ნი აქტიურად იბრძვის მშვიდობისათ...ს, იბრძვის კოლონიალიზმის წინააღ...ეგ; ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ ...ტად არის განვითარებული მრეწვე...ების მხრივ — ისინი გულმოდგი... დ სწავლობენ სხვა ქვეყნების გამოცდ...ლებას, ეძებენ სოციალურ და ტექ...ურ გზებს, რათა რაც შეიძლება მა...ი ამაღლონ თავიანთი ხალხების ...ვრების მატერიალური დონე. ამ ...ყნების მშვიდობისმოყვარული პო...ტიკა სერიოზულად კვეცავს იმპე...ალისტური წრეების შესაძლებლო...ს — მოაწყონ ახალი სამხედრო ავან...ურები.

...ველა ქვეყნის ხალხთა მასების ...ნო მოძრაობა მშვიდობისათვის, ...ნიარაღებისათვის, მშვიდობიანი თა...არსებობისათვის მძლავრი ძალაა, ...ბელსაც არ შეიძლება ანგარიში არ ...უწინონ იმპერიალისტურმა სახელ...ფოებმა. ჩვენს თვალწინ სულ უფ...ი მტკიცდება მშვიდობის დამცველ...ა დიადი თანამეგობრობა. იგი ფარ...ვდება და ღრმავდება, ძლევს არ...ველგვარ სექტანტურ ცრურწმენა...ს და გონებაშეზღუდულობას, აერ...ნებს და რაზმავს რა კეთილი ნების ...ზნეობრივი მოვალეობის ადამია...ს. მშვიდობის მილიონობით დამც...ელთა მასობრივი სიფხიზლე ახალი ...ელენაა ისტორიაში, მოვლენა, რო...ელიც განსაკუთრებულ შესაძლებლო...ს ქმნის მშვიდობის უზრუნველყო...ა და განმტკიცების საქმეში.

...როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ...არზე მშვიდობისა და სოციალიზ...ს ძალები იმდენად გაიზარდა და კა...ტალისტურ წყობილებას ისე გამო...ბარა ძირი, რომ ორი სისტემის — ...ციალიზმისა და კაპიტალიზმის — ...ად შეჯიბრებაში მთელი მსოფლიოს ...ოგრესულ ადამიანებს ყველა საფუ...ელი აქვთ მხნედ იყურონ წინ და ...ბრძოლა რწმენით აწარმოონ ბრძოლა ...ეობრიობის ნათელი მომავლისათვის. ...ველენები ვითარდება ახალი საზო...ოებრივი წყობილების სასარგებ...ოდ, სოციალიზმის სასარგებლოდ. ...ბიტალიზმი ვერ დაამარცხებს სო...ალიზმს. მსოფლიოს ხალხები საბ...თა კავშირში, ჩინეთის სახალხო ...ბლიკაში, სახალხო დემოკრა...ის ყველა ქვეყანაში ახალი საზოგა...ების მშენებლობის მიღწევათა მკა...ო მაგალითებით. იმ წარმატებათა ...ქტებით, რაც საბჭოთა კავშირმა და ...ციალიზმის ბანაკის ყველა ქვეყა...ბ მოიპოვეს საერთაშორისო ცხოვ...ებისა და პოლიტიკის დარგში, სულ ...ფრო და უფრო რწმუნდებიან, რომ ...რდუვალია სოციალიზმის გამარჯვე...ა და კაცობრიობის ხსნა კაპიტალიზ...ს უღლისაგან.

...ენტრალური კომიტეტის საანგარი...ო მოხსენებაში ხაზგასმით არის აღ...ნული, რომ მთელი არსი მარქსის...ულ-ლენინური მოძღვრებისა საზო...ოებრივ განვითარების შესახებ, ...ბლის დამახინჯებასაც ყოველნაი...ად ცდილობენ კომუნისტური მსოფლ...ედველობის მოწინააღმდეგენი, უარ...ყოს იმას, რომ რაიმე ძალადობის ...ით ვინმეს გარედან მოახვიონ თავს ...ციალური ურთიერთობის ახალი ...ორმა, ახალი სოციალური წყობი...ება. მეცნიერული სოციალიზმის ...ორიისათვის, რომლითაც ხელმძღვა...ელობს საბჭოთა ხალხი, სავსებით უც...ო მისწრაფება — თავს მოახვიოს ...ვა ხალხებს საზოგადოებრივი ცხოვ...ების ესა თუ ის ფორმა, მართვა-გამ...ობის ესა თუ ის ფორმა.

...მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, ...ომ ძირეული სოციალური ცვლილე...ები და ერთი საზოგადოებრივი წყო...ლებიდან მეორეში გადასვლა შესაძ...ებელია მხოლოდ მაშინ, როცა ამი...თვის მომწიფებულია საჭირო ობიექ...ური და სუბიექტური წანამძღვრები ...ა როცა მოცემული ქვეყნის ხალხი ...ალმუნდა, რომ საჭიროა სოციალუ...ი ცვლილებები, და იბრძვის ამ ცვლი...ებებისათვის.

...მარქსისტულ-ლენინური მეცნიერე...ის ამ დებულებებით მტკიცედ ხელ...ძღვანელობს საბჭოთა სახელმწიფო. ...ევოლუციის ექსპორტი", „კომუ...ისტური ექსპანსია", „საბჭოთა კომუ...ნიზმის საფრთხე" და მსგავსი მტკიცებანი, რომლებსაც დაუსრულებლად იმეორებენ აგრესიული პოლიტიკის წარმომადგენლები, ბოროტი მონაჭორია.

სხვადასხვა სოციალური წყობილების მქონე ქვეყნების მეგობრობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის პოლიტიკა, მშვიდობიანი თანაარსებობისა და ეკონომიური შეჯიბრების პრინციპები ჩვენთვის წარმავალი და შემთხვევითი რამ როდია. ასეთ პოლიტიკასა და პრინციპებს ურყევ საფუძველად უდევს მეცნიერული სოციალიზმის ძირითადი დებულებანი და მათ ადასტურებს მთელი ისტორია საბჭოთა კავშირის ურთიერთობისა დიდ და პატარა, ახლო და შორეულ ქვეყნებთან.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა ორმხრივი პროცესია და მისი შენარჩუნება დამოკიდებულია არა მარტო საბჭოთა კავშირზე, არამედ კაპიტალისტური სამყაროს ქვეყნებზეც. სწორედ ამ ქვეყნებმა, იმ იმედით, რომ პირველი იმპერიალისტური ომით გაწამებული ჩვენი ქვეყანა შეიძლებოდა მასთი იოლ ლუკმა გამხდარიყო, დაარღვიეს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი. როგორც ცნობილია, ამერიკისა და ინგლისის მმართველმა წრეებმა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პასუხად შორს გამიზნული საგანგებო აქციები მოახდინეს. სწორედ მათ მოაწყეს შეიარაღებული ინტერვენცია ჩვენს ქვეყანაში. მაშასადამე, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა სახელმწიფო ჯერ მხოლოდ იბადებოდა, საბჭოთა საზოგადოებრივ სისტემას ჯერ კიდევ არ გაევლო თავისი ქმნადობის თავდაპირველი ეტაპი, ამერიკისა და ინგლისს გავლენიანმა წრეებმა უკვე იერიში მიიტანეს მის წინააღმდეგ, სათავეში ჩაუდგნენ საერთაშორისო რეაქციას და ცდილობდნენ ჩაეხშოთ რევოლუცია, დაენაწილებინათ და კოლონიურ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ ჩვენი ქვეყანა. რაც შეეხება საბჭოთა ქვეყანას, იგი მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მტკიცედ ახორციელებდა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას.

არ შეიძლება სოციალიზმი თავს მოახვიო ხალხებს იარაღის ძალით, ისევე როგორც იარაღის ძალით არ შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ და განამტკიცონ ძველი საზოგადოებრივი წყობილება, რომელმაც თავისი დრო მოჭამა.

ლენინი გვასწავლის, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, როგორც მსოფლიოს ერთი საზოგადოებრივი სისტემის მეორე სისტემით შეცვლის ისტორიული პროცესი, წარმოადგენს სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ხანგრძლივი თანაარსებობისა და ეკონომიური შეჯიბრების მთელ ეპოქას.

მშვიდობიან შეჯიბრებაში სოციალიზმი გაიმარჯვებს, — ეს ჩვენ გვწამს, — მაგრამ არა „რევოლუციის ექსპორტის" გზით, არა ზარბაზნებითა და შესევით, არამედ იმით, რომ იგი შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციის უფრო მაღალი ტიპია, ვიდრე კაპიტალიზმი, რომ ამიტომ მას შეუძლია კაცობრიობისათვის უზრუნველყოს ცხოვრების გაცილებით უფრო მაღალი დონე, ვიდრე ეს შეუძლია კაპიტალიზმს; რომ იგი წარმოადგენს ადამიანების საზოგადოებას, რომლებიც დაკავშირებული არიან მშვიდობის, მეგობრობისა და ურთიერთდახმარების კავშირით, მაშინ როცა კაპიტალიზმს ადამიანებისათვის მოაქვს გამანადგურებელი ომები და ექსპლოატაცია, გაჩანაგება და სიღატაკე, სოციალური და რასობრივი ჩაგვრა.

საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული თეორიის საფუძველზე და ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების გამოცდილების საფუძველზე ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური წყობილების შეცვლა უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმაციით — სოციალიზმით — გარდუვალია. როდის და როგორ მოხდება ეს, როგორი იქნება სოციალიზმზე გადასვლის ფორმები, ამ საკითხების გადაჭრა თვითონ კაპიტალისტური ქვეყნების ხალხთა საქმეა. მხოლოდ მათ შეუძლიათ განსაზღვრონ თავიანთი სახელმწიფოს ბედი. საბჭოთა კავშირს და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებს განზრახული არა აქვთ განახორციელონ რაიმე ჩარევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში.

ამიტომ მშვიდობიან შეჯიბრებას არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს აუცილებელი პერსპექტივა, რომ გადაიქცეს ან გადაიზარდოს შეიარაღებულ შეჯიბრებად, ე. ი. ომად.

მშვიდობიანი თანაარსებობის პლატფორმა შეესაბამება საბჭოთა კავშირის ნამდვილ მიზნებსა და განზრახვებს საერთაშორისო ურთიერთობაში, და იგი კაცობრიობას აძლევს შესაძლებლობას თავიდან აიცილოს ახალი მსოფლიო ომი, მაშინ როცა მშვიდობიანი თანაარსებობის მოწინააღმდეგეთა პოზიცია აყენებს მხოლოდ ერთ პერსპექტივას — ომის პერსპექტივას.

ყველა ხალხმა უნდა იცოდეს, რომ არის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა ხანგრძლივი ვადით, თუ საერთაშორისო ურთიერთობას საფუძვლად დაიდება მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც პირველად წამოაყენა და თეორიულად შეიმუშავა საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელმა ვ. ი. ლენინმა. ლენინის დასკვნა, რომ შესაძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობა, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია.

მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხის მთელი აზრი ის არის, გარდუვალია თუ არა თანამედროვე პირობებში-ომი სხვადასხვა ქვეყანას შორის მათი სოციალური წყობილების განსხვავების გამო. სოციალისტური ბანაკის ქვეყნების წარმომადგენლები უპასუხებენ: შესაძლებელია ომის თავიდან აცილება. ამის გამო ისინი მოითხოვენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი დაედოს საფუძვლად ყველა ქვეყანას შორის ურთიერთობას.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ და კიდევ მივაპყროთ ყურადღება იმ უმნიშვნელოვანეს დებულებას, რომელიც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წამოაყენა საანგარიშო მოხსენებაში იმის დასასაბუთებლად, რომ ომი გარდუვალი არ არის, რომ ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ და კიდევაც უნდა ავიცილოთ. ეს დებულება გამომდინარეობს იმ ახლის მარქსისტულ-ლენინური ანალიზიდან, რაც ჩვენი ეპოქის დამახასიათებელი ნიშანია. ეს ახალი რამ ის არის, რომ იმპერიალიზმი აღარ არის ყოვლისმომცველი მსოფლიო სისტემა. სოციალიზმის ბანაკი, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომლებიც დაინტერესებული არ არიან ომით, იმდენად ძლიერი არიან, რომ სათანადო ორგანიზებულობის პირობებში აიძულონ იმპერიალისტები უარი თქვან ომზე, ხოლო თუ იმპერიალისტები მაინც მოისურვებენ ომის დაწყებას, გამანადგურებელი წინააღმდეგობა გაუწიონ იმპერიალისტთა ავანტიურულ ცდებს — მშვიდობის დაღვევის ცდებს.

საანგარიშო მოხსენებაში ჯეროვანი ყურადღება ექცევა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხებს. ეს გასაგებიც არის. საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაცია, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ახალი ომის საფრთხის აღკვეთა, ხალხთა შორის მშვიდობის უზრუნველყოფა — ყოველივე ეს დიდად არის დამოკიდებული იმაზე, შევძლებთ თუ ვერა აღმოვფხვრათ არანორმალურობა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობაში და მტკიცედ დავადგეთ საბჭოთა და ამერიკელი ხალხების მეგობრობის განვითარების გზას.

როგორც მოხსენებაში აღინიშნა, ჩვენმა თაოსნობამ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობის სერიოზული გაუმჯობესების საქმეში ჯერჯერობით ვერ ჰპოვა სათანადო გაგება და მხარდაჭერა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რაც მოწმობს, თუ რა ძალა აქვთ ამერიკის შეერთებულ შტატებში იმის მომხრეებს, რომ მოუწესრიგებელი საკითხები გადაიჭრას ომის გზით, მოწმობს იმას, რომ ეს მომხრეები ჯერ კიდევ ძლიერ გავლენას ახდენენ პრეზიდენტსა და მთავრობაზე. მაგრამ ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, რომ ჩვენს მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებებს უფრო სწორად შეაფასებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქმე გაუმჯობესდება.

თავისთავად იგულისხმება, რომ ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის კურსი ყოვლად შეუთავსებელია ეგრეთწოდებულ „ძალის პოზიციის" პოლიტიკასთან, აგრეთვე იმ პოლიტიკასთან, რომ შეიქმნას ზოგიერთ სახელმწიფოთა კარდახშული სამხედრო დაჯგუფებანი, რომლებიც აშკარად მიმართულია სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

მშვიდობიანი თანაარსებობა გულისხმობს თანამშრომლობასა და თანამოქმედებას; „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, სახელმწიფოების კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებათა შექმნის პოლიტიკა ნავარაუდევია გათიშვის გასაღრმავებლად, უთანხმოების გასამწვავებლად, სახელმწიფოების ერთმანეთისათვის დასაპირდაპირებლად.

„ძალის პოზიციის" პოლიტიკის მომხრენი ამბობენ, თითქოს ეს პოლიტიკა მიზნად ისახავდეს უზრუნველყოს „ძალთა წონასწორობა" მსოფლიო ასპარეზზე და ამ საფუძველზე შეუძლებელი გახადოს ახალი ომი, განამტკიცოს მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება. მაგრამ განა ცხადი არ არის, რომ ეს განცხადებანი თავიდან ბოლომდე ყალბია. მართლაც, „ძალის პოზიციის" პოლიტიკა არა მარტო მთავარი მიზეზია საერთაშორისო დაძაბულობისა, არამედ მას შეიძლება უაღრესად მძიმე შედეგები მოჰყვეს თავის განვითარებაში. სავსებით აშკარაა, რომ როცა სახელმწიფოთა ჯგუფი ახორციელებს შეუკავებელ გამალებულ შეიარაღებას, ახორციელებს სახელმწიფოთა სხვა ჯგუფის სტრატეგიული გარემოცვის ხაზს, ქმნის ამ სხვა სახელმწიფოთა ახლოს თავისი პლაცდარმებისა და სამხედრო ბაზების სისტემას, ამით იმ ქვეყნების წინაშე, რომლებსაც საფრთხე მოელით, მთელი სიგრძე-სიგანით ისახება ამოცანა — ყოველი შესაძლებელი საშუალებით დაიცვან თავიანთი ეროვნული უშიშროება, უზრუნველყონ და სისტემატურად დაიცვან ძალების მყარი, მზარდი უპირატესობა თავიანთ მხარეზე. „ძალის პოზიციის" განხორციელების გზით „ძალთა წონასწორობის" შექმნის იდეა უაღრესად მანკიერი და საშიში იდეაა. საერთაშორისო ასპარეზზე ძალაში შეჯიბრების ძირეული განმასხვავებელი ნიშანი სწორედ ის არის, რომ ასეთი შეჯიბრება გამორიცხავს „ძალთა წონასწორობის" შესაძლებლობას და უშუალოდ იწვევს მსოფლიო ომს. ამას დამაჯერებლად მოწმობს ისტორიული გამოცდილება. ჩვენი საუკუნის დამდეგს ბრძოლა ძალის უპირატესობისათვის წარმოებდა გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის (სამთა კავშირი) კოალიციასა და ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის კოალიციას შორის. რით დამთავრდა ეს ბრძოლა? პირველი მსოფლიო ომით. ოცდაათიან წლებში ბრძოლა ძალის უპირატესობისათვის წარმოებდა „სამთა ღერძს" — გერმანია-იტალია-იაპონიასა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის. რით დამთავრდა ეს ბრძოლა? მეორე მსოფლიო ომით.

ყოვლად შეუძლებელია მშვიდობიანი თანაარსებობის კურსის შერიგება „ძალის პოზიციის" პოლიტიკის განხორციელებასთან.

„ძალის პოზიციის" პოლიტიკა, კარდახშული სამხედრო ბლოკების პოლიტიკა იმათ ესაჭიროებათ, ვინც აწარმოებს შეტევას მშვიდობის საქმის წინააღმდეგ. ჩვენ კი ვამჯობინებთ შეკუეტოოთ ომს, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ არ იყოს ომი, რომ მშვიდობის საქმემ გაიმარჯვოს, და ვზრუნავთ იმისათვის, რომ ხალხები მოტყუებული არ დარჩნენ.

ამიტომ საბჭოთა კავშირი, „ძალის პოზიციის" პოლიტიკას, როგორც ცნობილია, უპირდაპირებს ერთადერთ სწორ პოლიტიკას, ერთადერთ პოლიტიკას, რომელსაც შეუძლია თავიდან აგვაცილოს ახალი მსოფლიო ელეტა,— მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, ეფექტიანი და საყოველთაო განიარაღების, კოლექტიური უშიშროების სრულფასოვანი სისტემის შექმნის პოლიტიკას.

ჩვენი სანუკვარი მიზანია აღმოვფხვრათ ომი საერთაშორისო ურთიერთობაში, უზრუნველვყოთ მშვიდობის ისეთი განმტკიცება, როცა კაცობრიობა შეძლებს გულდამშვიდებით და რწმენით უყუროს თავის ხვალინდელ დღეს, თავისი აურაცხელი შემოქმედებითი შესაძლებლობანი მოახმაროს მხოლოდ და მხოლოდ ცივილიზაციის ყოველი ღონისძიებით აღმავლობის საქმეს.

ეს არის მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ჩვენი პერსპექტივა, რომელიც ჩვენ გვწამს და რომლისთვისაც მთელი შეუპოვრობით ვიბრძოლებთ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან მჭიდრო თანამეგობრობით. ხოლო თუ იმპერიალიზმის ბანაკის ავანტიურისტები შეეცდებიან დაარღვიონ მშვიდობა და გააჩაღონ მესამე მსოფლიო ომის ხანძარი, თავიანთ თავს დაუბარალონ ამის შედეგი. ეჭვი არ არის, რომ მესამე მსოფლიო ომს მოჰყვება მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის სრული კრახი. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ ნამდვილად შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ, შესანიშნავია იგი, უწინარეს ყოვლისა, იმით, რომ ყველა ქვეყნის ხალხთა მასებში სულ უფრო მტკიცდება და მკვიდრდება რწმენა, რომ წარმატებით გადაიჭრება მთავარი ამოცანა, რომელიც დასახეს კომუნისტური მსოფლმხედველობის მიმდევრებმა, — დედამიწაზე განხორციელდეს საერთო ცხოვრების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ხალხებს მშვიდობიანი ცხოვრებისა და აყვავების საშუალებას მისცემს.

საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით და მხნედ შეჰყურებენ თავიანთ მომავალს. საბჭოთა ხალხი მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის ყველა ხალხთან მჭიდრო თანამშრომლობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი რევოლუციური იდეებით მტკიცედ შეკავშირებული მშობლიური კომუნისტური პარტიის ნაცადი ხელმძღვანელობით, თავისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული ახალ გამარჯვებებს მიაღწევს კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში. **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ამხანაგებო!

ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა გადაგვიშალა იმ მოვლენათა დიდი და მკაფიო სურათი, რომელთა აქტიური მონაწილენი ჩვენ ვიყავით XIX ყრილობის შემდეგ. ამ მოხსენებაში განზოგადებულია თანამედროვე პერიოდში ჩვენი პარტიის ბრძოლის გამოცდილება, მოცემულია ახლანდელი საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი და წამოყენებულია ახალი უდიდესი ამოცანები, რომლებიც დგას ჩვენი პარტიის წინაშე, საბჭოთა ხალხის წინაშე.

ჩვენმა ხალხმა სახელოვანი გზა განვლო. ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში მან ძირითადად ააშენა სოციალისტური საზოგადოება, ახლა კი ახორციელებს სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლას. ამ გზაზე ბევრი იყო სიძნელე, რომელთა გადალახვა მოითხოვდა ძალების განსაკუთრებულ დაძაბვას, ზოგჯერ კი უდიდეს მსხვერპლსაც, განსაკუთრებით ომის პერიოდში.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ ჯერ კიდევ გვაქვს დიდი გადაუწყვეტელი ამოცანები. მაგრამ ჩვენი ქვეყანა მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ, წარმატებით წყვეტს თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით სულ ახალ და სულ უფრო რთულ ამოცანებს კომუნიზმის გამარჯვების გზაზე.

საბჭოთა ხალხმა წარმატებით შეასრულა მეხუთე ხუთწლიანი გეგმა, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა მისი დიდმნიშვნელოვანი დავალებანი სახალხო მეურნეობის აღმავლობის დარგში. ახლა წამოყენებულია მეექვსე ხუთწლედის ახალი გრანდიოზული ამოცანები, და ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ ეს ამოცანები წარმატებით გადაწყდება.

ჩვენი დიადი სახელმწიფოს ძლიერებისა და სიცოცხლისუნარიანობის საფუძველია ჩვენი ლენინური პარტიის მიერ შექმნილი მუშათა და გლეხთა კავშირი. **(ტაში).** ჩვენს დროში მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის მძლავრი და ურღვევი კავშირი წარმოადგენს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების შესანიშნავი მორალურ-პოლიტიკური ერთიანობის საძირკველს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის საძირკველს.

XIX ყრილობის შემდეგ ჩვენმა პარტიამ ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ კიდევ უფრო განემტკიცებინა მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი. სოფლის მეურნეობის აღმავლობის საკითხები სამართლიანად იდგა ჩვენი პარტიის ყურადღების ცენტრში. ეს გამოწვეული იყო განსაკუთრებული აუცილებლობით, რამდენადაც სოფლის მეურნეობა აშკარად ჩამორჩებოდა სახალხო მეურნეობის საერთო ზრდას, მრეწველობის სწრაფ აღმავლობას.

მოსახლეობისათვის სასურსათო პროდუქტებსა და კვებისა და მსუბუქი მრეწველობისათვის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე მზარდ მოთხოვნილებათა უსწრაფესი დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ახალი ღონისძიებები განახორციელეს. ეს ღონისძიებები, უწინარეს ყოვლისა, შემდეგია: სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების გადიდებით კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალური დაინტერესების გაძლიერება და ამ პროდუქტების ფასების შესაბამისად შესწორება; სოფლის მეურნეობის მექანიზაციის გადიდებისა და მინერალური სასუქების წარმოების გადიდებისათვის

გაჩაღებული მუშაობა; ღონისძიებანი კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცებისათვის და განსაკუთრებით კოლმეურნეობებში ხელმძღვანელ სამუშაოზე ახალი კვალიფიციური მუშაკების, აგრეთვე აგრონომების, მექანიკოსების და სხვ. გაგზავნა; სოფლად პარტიული ორგანიზაციების შემდგომი განმტკიცება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების გაბედული გეგმის წარმატებით განხორციელებას, რამაც 33 მილიონი ჰექტარით გაადიდა ნათესი ფართობები, უმთავრესად მარცვლეული კულტურებისა. ახლებურად დაისვა ისეთი საკითხი, როგორიც იყო სიმინდის ნათესების გადაჭრით გადიდება, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობისათვის. ამ და მთელმა რიგმა სხვა ღონისძიებებმა ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობის ახალი პერსპექტივები შექმნეს, და კოლმეურნე გლეხობა ერთსულოვნად უჭერს მათ მხარს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ კოლმეურნე გლეხობის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების შესაბამისად სახელმწიფო გეგმებში გათვალისწინებულია, რომ სოფლად კეთილდღეობის დონე სულ უფრო უახლოვდებოდეს ქალაქად ცხოვრების დონეს. ცნობილია, რომ მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში კოლმეურნეთა რეალური შემოსავლის დონე გადიდდა 50 პროცენტით, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასი — 39 პროცენტით. მეექვსე ხუთწლედის გეგმით გათვალისწინებულია კოლმეურნეთა შემოსავლის შემდგომი გადიდება — საშუალოდ სულ მცირე 40 პროცენტით, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასისა — საშუალოდ დაახლოებით 30 პროცენტით. პარტიის ასეთი პოლიტიკური გეზი შეესაბამება მუშათა და გლეხთა კავშირის შემდგომი განმტკიცების ინტერესებს, უზრუნველყოფს ჩვენი სახელმწიფოს კიდევ უფრო განმტკიცებას.

ჩვენი პარტია ყოველთვის ზრუნავს მრეწველობისა და ტრანსპორტის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და აღმავლობისათვის. ამასთან პარტია მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს მძიმე მრეწველობის აღმავლობის უპირატეს მნიშვნელობას, რამდენადაც მასზე არის დამოკიდებული როგორც სოფლის მეურნეობის, ისე სახალხო მეურნეობის სხვა დარგების განვითარება, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

განვლილ პერიოდში პარტიამ განსაკუთრებული ღონისძიებები მიიღო მრეწველობის ტექნიკური დონის ასამაღლებლად. ამასთან გამოირკვა, რომ ჩვენ გვაქვს ბევრი გამოუყენებელი შესაძლებლობა შრომის ნაყოფიერების ასამაღლებლად და სამრეწველო პროდუქციის წარმოების გასადიდებლად. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია, რომ ჩვენი მრეწველობა საჭირო რაოდენობით აწარმოებდეს ნამდვილად თანამედროვე, ყველაზე სრულყოფილ მოწყობილობას, რომ საწარმოებში ძველი მოწყობილობა დროულად იცვლებოდეს ახლით. ყოველივე ეს დაკავშირებულია აგრეთვე წარმოების ორგანიზაციის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებასთან. ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და მთელ რიგ თათბირებზე, რომლებშიც მონაწილეობდნენ საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები, ამ საქმეში სამეცნიერო-ტექნიკური ძალების უფრო ფართოდ ჩაბმით, მხილებულ იქნა ბევრი ნაკლი ამ მხრივ და დაისახა მრეწველობაში ახალ, უფრო სერიოზულ წარმატებათა უზრუნველყოფის გზები. ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაწეულმა მუშაობამ დიდად უნდა წასწიოს წინ მრეწველობისა და მშენებლობის აღმავლობის საქმე.

აგრეთვე აუცილებელია უზრუნველყოფილ იქნას ჯეროვანი რიტმულობა საწარმოთა მუშაობაში. უამისოდ ვერ მივაღწევთ ბევრი სამეურნეო დანაკარგის ლიკვიდაციას და მრეწველობაში გეგმიანი საწყისების შემდგომ სათანადო განმტკიცებას.

ამხანაგ ხრუშჩოვის მოხსენებიდან ცნობილია, რომ მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში მუშაობა ჩვენს მრეწველობასა და დაწესებულებებში გადაყვანილ იქნება 7-საათიან სამუშაო დღეზე. ამით, აგრეთვე მუშათა და მოსამსახურეთა რეალური ხელფასის შემდგომი სერიოზული გადიდებით, ისევე როგორც მთელი რიგი სხვა ღონისძიებებით, ჩანს ის განსაკუთრებული ზრუნვა, რომელსაც ჩვენი პარტია მუდამ იჩენს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

პარტია აშკარად და გაბედულად ამხილებს დიდ ნაკლოვანებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. პარტია აღწევს სახელმწიფო აპარატის ყოველი ღონისძიებით გაუმჯობესებას და ამასთან ერთად შემცირებას, აგრეთვე უმკაცრესი კანონიერების უზრუნველყოფას. ყოველივე ამაში პარტია ემყარება მუშებს, კოლმეურნეების, ინტელიგენციის მხარდაჭერასა და აქტიურ მონაწილეობას.

(გაგრძელება მე-4 გვერდზე)

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა

კამათი სკკპ ცენტრალური კომიტეტის—ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვისა და სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის—ამხანაგ პ. გ. მოსკატოვის საანგარიშო მოხსენებათა გამო

ამხანაგ ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის გაგრძელება

I. ძირეული ცვლილებები საერთაშორისო ვითარებაში და ახალი ომების თავიდან აცილების შესაძლებლობა

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა სოციალისტური საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო. და ამ შემოწმებამ გვიჩვენა, რომ სოციალისტურ სახელმწიფოს, რომელიც ხალხის თავდადებულ მხარდაჭერას ეყრდნობა, დაუშრეტელი სულიერი და მატერიალური ძალების წყარო აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირი ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომლებმაც გადაიტანეს მეორე მსოფლიო ომის მთავარი სიმძიმე, ჩვენი ქვეყანა ომის დამთავრების შემდეგ მოკლე ვადებში კვლავ დაადგა სახალხო მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის მკვეთრი აღმავლობის გზას. ცნობილია, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიც, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ, წარმატებით წყვეტენ თავიანთ ამოცანებს.

ურთიერთობა სსრ კავშირს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებს შორის ვითარდება მტკიცე მეგობრულ საფუძველზე, ძირითადი მიზნების ერთიანობით. სოციალისტური ქვეყნების განუხრელ წინსვლას უზრუნველყოფს კომუნისტური და მუშათა პარტიების ნაცადი ხელმძღვანელობა. უკანასკნელი დროის ყველა მოვლენიდან არ შეიძლება არ გამოვყოთ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებანი ჩინეთში. ამ წარმატებებმა მიაღწია უდიდეს გაქანებას, რომელიც ნამდვილად შეეფერება დიდ ჩინელ ხალხს. **(ხანგრძლივი ტაში).** ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ქვეყნების მძლავრი ბანაკის შექმნა.

ამ ბანაკის შექმნას განსაკუთრებით დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ცხადყოფს რა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში გზების განსხვავებას, ამ ბანაკში შემავალ სახელმწიფოთა გამოცდილება უმაგალითოდ აფაშოებს სოციალიზმის გავლენის შესაძლებლობებსა და მასშტაბებს. ამასთან ერთად ეს ბანაკი წარმოადგენს მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის საიმედო დასაყრდენს მათს ბრძოლაში თავიანთი უფლებებისა და კაპიტალიზმის ქვეყნებში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. კოლონიებისა და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებმა იცან, რომ ამ ბანაკის ძლიერებას და შემდგომ განმტკიცებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მათი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის. **(ტაში).**

ახლა მსოფლიო კაპიტალისტურ სისტემასთან ერთად არსებობს მსოფლიო სოციალისტური სისტემაც. ისტორიამ ღღის წესრიგში დააყენა ამ სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი. რასაკვირველია, საჭიროა ანგარიში გაეწიოს იმას, რომ უთანხმოება და დავა მათ შორის გარდუვალია. ამიტომ საჭიროა ნათელი პასუხის გაცემა კითხვაზე, თუ როგორ უნდა გადაიჭრას არსებული სადავო საკითხები და ის საკითხები, რომლებიც მოვლენათა მსვლელობაში წარმოიშობა.

ამისათვის არსებობს მხოლოდ ორი გზა: მოლაპარაკების და უთანხმოებათა მშვიდობიანი მოწესრიგების გზა ან ომის გზა. სხვა გზა არ არსებობს. ომის გზას გადაჭრით უარყოფენ საბჭოთა კავშირი და ყველა სხვა სოციალისტური ქვეყანა. ჩვენ იმისაკენ მივისწრაფვით, რომ მოწინააღმდეგე სისტემის მომხრეებმაც აღიარონ ორივე სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, და არავითარ ღონისძიებას არ დავიშურებთ იმისათვის, რომ მოლაპარაკების გზით გადაიჭრას მომწიფებული და წარმოშობილი საერთაშორისო პრობლემები, რათა ხელი შევუწყოთ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების დაცვასა და განმტკიცებას. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში დროულად არის დაყენებული თანამედროვე საერთაშორისო განვითარების მთელი რიგი პრინციპული საკითხები და, კერძოდ, ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობის საკითხი. მრავალმა მილიონმა ადამიანმა თავის თავზე გამოსცადა ორივე მსოფლიო ომი და კარგად იცნობს მათს სისხლიან შედეგებს, აურაცხელ უბედურებასა და მსხვერპლს. ამ ორი ომის შედეგად მოკლულ და დასახიჩრებულ იქნა 80 მილიონზე მეტი კაცი. ახლა შექმნილ პირობებში ახალი მსოფლიო ომი გაცილებით უფრო დამანგრეველი და საშიში იქნებოდა. შეიძლება მხოლოდ ერთი დასკვნა — ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მთელი კაცობრიობის ინტერესებისათვის დავიცვათ მშვიდობა, ხელიდან არ გავუშვათ ამის არავითარი შესაძლებლობა, განვმარტავდეთ და ვამხილებდეთ მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ ხრიკებს, ვაერთიანებდეთ და ვრაზმავდეთ ხალხებს იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. **(ტაში).**

ჩვენ ყველას გვახსოვს ცნობილი ლენინური თეზისი, რომ სანამ იმპერიალიზმი არსებობს — ომები გარდუვალია. იმპერიალიზმის ბატონობის პირობებში სახელმწიფოები ვერ გადაჭრიან თავიანთ წინააღმდეგობებს სხვანაირად, თუ არა ძალით, ესე იგი საბოლოო ანგარიშით — ომით.

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ, ერთი მხრივ, იმპერიალიზმის დროს არსებობს ეკონომიური საფუძველი ომებისათვის და რომ, მეორე მხრივ, იმპერიალიზმი თვითონ წარმოშობს საზოგადოებრივ ძალებს, რომლებიც ისწრაფვიან ბოლო მოუღონ იმპერიალისტურ ომებს და თვით იმპერიალიზმს. ასეთი საზოგადოებრივი ძალები გარკვეულ პირობებში საკმარისი და იმის უნარის მქონე ხდებიან, რომ არ დაუშვან ომი, რომ ბოლო მოუღონ იმპერიალისტურ ომებს. ამიტომ არასწორია მსჯელობა ომების ფატალური გარდუვალობის შესახებ.

რა თქმა უნდა, ახლანდელ პირობებშიც, რამდენადაც არსებობს იმპერიალიზმი, არსებობს ახალი მსოფლიო ომის საფრთხეც, სხვა სამხედრო კონფლიქტებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მაგრამ ერთი საქმეა, როცა არსებობს ომის საფრთხე და არ არსებობს ძალები ან, ყოველ შემთხვევაში, არ არსებობს ნამდვილად დიდი ძალები ამ საფრთხისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. და, სხვა საქმეა, როცა ასეთი ძალები, — და მასთან არც თუ მცირე, — ფაქტი გახდა და როცა ამ ძალების გამოჩენის შედეგად შეიქმნა ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმასაც, რომ იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეები გულში ატარებენ გეგმებს, რომლებიც ნავარაუდევია იმისათვის, რომ უკუღმა შეატრიალონ ისტორიული განვითარება. როგორც ცნობილია, ასეთმა მისწრაფებებმა გამოხატულება ჰპოვა „შეკავების“ გეგმებით და განსაკუთრებით „განთავისუფლების“ გეგმებით, რომლებიც გამსჭვალულია სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის სულისკვეთებით. მაგრამ ერთი საქმეა ადგენდე ამგვარ გეგმებს— სოციალიზმის ქვეყნებში კაპიტალიზმის ძალდატანებით აღდგენის ფანტასტიკურ გეგმებს, და სულ სხვა საქმეა ახლანდელ პირობებში მათი განხორციელების შესაძლებლობა, რამდენადაც ამგვარი გეგმების არარეალობა ასე ბრწყინვალედ დამტკიცებულია სსრ კავშირის არსებობისა და განვითარების მთელი ისტორიით. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველასათვის ცხადია, რა ღრმა ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ვითარებაში პირველი და, განსაკუთრებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ახლა ყოველი გონიერი ადამიანი ხედავს, როგორ შეიცვალა კლასობრივი, პოლიტიკური ძალების თანაფარდობა, რამდენად შესუსტდა იმპერიალიზმის პოზიციები და რამდენად გაძლიერდა სოციალიზმის პოზიციები, ამასთან ერთად პოზიციები ბევრი სხვა ძალისა, რომლებიც ომის წინააღმდეგ გამოდიან. ყოველივე ეს შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ საკითხში იმის შესახებ, იქნება თუ არ იქნება ომი — ახლა შეიქმნა სრულიად სხვა მდგომარეობა, ვიდრე უკანასკნელი მსოფლიო ომის წინა პერიოდში და, მით უფრო, ვიდრე 1914-1918 წლების ომის წინა პერიოდში.

თავის დროზე, იმ პერიოდში, რომელიც წინ უძღოდა პირველ მსოფლიო ომს, მუშათა კლასის სოციალისტურმა პარტიებმა წამოაყენეს ამოცანა არ დაეშვათ ომი. უკვე მაშინ ლოზუნგმა „ომი ომს“ ღრმად გაიდგა ფესვი მასებში, მოიცვა მუშათა კლასის ფართო ფენები მრავალ ქვეყანაში. მაგრამ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის გაჩაღების გადამწყვეტ დროს საერთაშორისო პროლეტარიატი პოლიტიკურად დასუსტებული და დეზორგანიზებული იყო II ინტერნაციონალის პარტიების ლიდერთა გამცემლობით. მხოლოდ ჩვენი ბოლშევიკური, ლენინური პარტია ბოლომდე იცავდა იმპერიალიზმისა და იმპერიალისტური ომის შეურიგებელ მოწინააღმდეგეთა პოზიციებს და სხვა ქვეყნებში მხოლოდ ცალკეულმა სოციალისტებმა შეინარჩუნეს ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმისადმი. აგრეთვე ცნობილია, რომ ჩვენი პარტიის ამ პოზიციამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებაში, არამედ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების დაჩქარებაშიც.

იმ პერიოდში, რომელიც წინ უძღოდა მეორე მსოფლიო ომს, საბჭოთა კავშირი თანმიმდევრულად იცავდა მშვიდობის ინტერესებს და მოუწოდებდა სხვა სახელმწიფოებს გაერთიანებულიყვნენ ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად. მიუხედავად იმისა, რომ მეორე მსოფლიო ომს გერმანიის ფაშიზმი და მისი აგრესიული მოკავშირეები ყველას თვალწინ ამზადებდნენ, სხვა სახელმწიფოებმა მხარი არ დაუჭირეს საბჭოთა კავშირის წინადადებებს ხელი შეეშალათ ახალი ომისათვის. მათ ისიც კი სცადეს, რომ გერმანიის ფაშიზმის აგრესიული ძალები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიემართათ და, როგორც ცნობილია, ადგენდნენ იმის გეგმებს, რომ „სხვისი ხელით ეგლოჯათ ნარი“.

საბჭოთა კავშირის — იმ დროს ერთადერთი სოციალისტური სახელმწიფოს — და სხვა ქვეყნებში მისი თანამგრძნობი მშვიდობისმოყვარე ადამიანების ძალები მაშინ საკმაო არ იყო იმისათვის, რომ ჩაეშალათ იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული ქვეყნების საომარი გეგმები. სწორედ ამ ვითარებაში დაიწყო მეორე მსოფლიო ომი.

ამ ომის შედეგებმა ცხადყო, თუ რამდენად მართალი იყო ლენინი, რომელიც ჯერ კიდევ 1915 წლის შუა ხანებში წერდა:

„ომის გამოცდილება, ისევე როგორც გამოცდილება ყოველი კრიზისისა ისტორიაში, ყოველი დიდი უბედურებისა და ყოველი გარდატეხისა ადამიანის ცხოვრებაში, აჩლუნგებს და გასტეხს ზოგიერთს, **მაგრამ სამაგიეროდ ათვითცნობიერებს და აკაჟებს სხვებს,** ამასთან საერთოდ და მთლიანად, მთელი მსოფლიოს ისტორიაში, ამ უკანასკნელთა რიცხვი და ძალა, ამა თუ იმ სახელმწიფოს დაცემისა და დაღუპვის ცალკეული შემთხვევების გამოკლებით, პირველზე გაკილებით უფრო მეტი ყოფილა“ (ლენინი, ტ. 21, გვ. 251).

მეორე მსოფლიო ომმა კიდევ უფრო მეტად, ვიდრე პირველმა, გაათვითცნობიერა და გამოაწრთო მრავალი მილიონი ადამიანი.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში და მისი დამთავრების შემდეგ მთელ რიგ სახელმწიფოებში წარმოიშვნენ, ფეხზე დადგნენ და დაირაზმნენ ისეთი ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალები, რომელთა გამოჩენამ ისტორიულ ასპარეზზე ძირეულად შეცვალა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება. ომმა გამოიწვია ხალხების ძალთა წარმოუდგენელი დაძაბვა და ამავე დროს მას მოჰყვა უდიდესი ცვლილებები პოლიტიკურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით ევროპისა და აზიის ქვეყნებში.

ამჟამად არსებობს სახელმწიფოთა ორი მსოფლიო ბანაკი, რომლებიც ხასიათდებიან ღრმა განსხვავებებით მათს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაში. მსოფლიო იმპერიალისტურ ბანაკთან ერთად შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური ბანაკი, რომელიც ევროპასა და აზიაში აერთიანებს 900 მილიონზე მეტ კაცს, ე. ი. დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედზე მეტს. თუ იმპერიალიზმის ქვეყნების ბანაკში გადამწყვეტი როლი კვლავ ეკუთვნის იმ კლასებსა და დაჯგუფებებს, რომლებიც ისწრაფვიან შეინარჩუნონ თავიანთი გაბატონებული და პრივილეგიური მდგომარეობა, თვით ახალი ომის გაჩაღებამდე, სულ სხვა მდგომარეობას ვხედავთ სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში.

მაშინ როცა იმპერიალიზმის ზოგიერთი ქვეყნის ყველაზე აგრესიული წრეები ახლა გართული არიან ახალი ომისათვის მზადებით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ შეინარჩუნონ და განამტკიცონ მშვიდობა, მოაწყონ ბრძოლა ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის. ამით საბჭოთა კავშირი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები გამოხატავენ არამარტო თავიანთი ქვეყნების ხალხების, არამედ ყველა სხვა ხალხის ყველაზე ღრმა, ყველაზე სანუკვარ და ჭეშმარიტად საარსებო ინტერესებს, თუ ვილაპარაკებთ ხალხთა ნამდვილ მასებზე.

მშვიდობის საკითხში ყველა ხალხის ინტერესები, მიუხედავად იმისა, თუ როგორი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილებაა ამა თუ იმ ქვეყანაში, ემთხვევა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ინტერესებს, სოციალისტური ბანაკისა, რომელიც თავდადებით იცავს საყოველთაო მშვიდობის, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის საქმეს.

(დასასრული შემდეგ ნომერში).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის დეპეშა იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. ჯიჯოსაღმი მაკედონიის რაიონში მომხდარი სტიქიური უბედურების გამო

იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ბოლო დროს იუგოსლავიაში მოხდა სტიქიური უბედურება, რის შედეგად იყო ადამიანთა მსხვერპლი და გამოწვეულია მატერიალური ზარალი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა ა. წ. 18 თებერვალს იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. ტიტოს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშა:

„იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბროზ-ტიტოს

საბჭოთა მთავრობის სახელით ღრმა თანაგრძნობას ვუცხადებ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მაკედონიის რაიონში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად იუგოსლავიის მოქალაქეთა დაღუპვისა და გამოწვეული მატერიალური ზარალის გამო.

გულწრფელად ვუსურვებ იუგოსლავიის მთავრობას იმ უბედურების შედეგების უსწრაფეს ლიკვიდაციას, რაც მაკედონიის მცხოვრებლებმა განიცადეს.

ნ. ბულგანინი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე“.

ამავე დროს სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასრულებელმა კომიტეტმა, გამოთქვა რა გულწრფელი თანაგრძნობა ადამიანთა დაღუპვისა და მატერიალური ზარალის გამო, რაც იუგოსლავიის მოსახლეობამ განიცადა ზვავებისა და წყალდიდობის დროს, იუგოსლავიის წითელი ჯვრის ცენტრალურ კომიტეტს გაუგზავნა ასეთი მანეთი დაზარალებულთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

ა. წ. 21 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ა. ბულგანინმა იუგოსლავიის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის ამხანაგ ი. ბ. ტიტოსაგან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ა. ბულგანინს

დიდად მასიამოვნა ღრმა გაგებამ და თანაგრძნობამ, რომელიც თქვენ საბჭოთა მთავრობის სახელით გამოუცხადეთ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას ჩვენი მოქალაქეების დაღუპვისა და ზარალის გამო, რაც სტიქიურმა ძალებმა გამოიწვია მაკედონიაში.

გთხოვთ საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს სახელით მიიღოთ ჩვენი უაღრესად გულწრფელი მადლობა.

იოსიპ ბროზ-ტიტო“.

საბჭოთა კავშირ-იემენის მეგობრობის ხელშეკრულების რატიფიკაცია

1956 წლის 25 თებერვლის ბრძანებულებით სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭოს პრეზიდიუმმა მოახდინა რატიფიკაცია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იემენის მუტავაკილის სამეფოს მეგობრობის ხელშეკრულებისა, რომელსაც ხელი მოაწერეს კაიროში 1955 წლის 31 ოქტომბერს და რომელიც დამტკიცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

გაზეთი „ნოლონ სინმუნი“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგების შესახებ

ფხენიანი, 28 თებერვალი. (საკადესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საზოგადოებრიობა დიდ ჯერად იკადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მუშაობის შედეგებს.

გაზეთი „ნოდონ სინმუნი“ მოწინავე სტატიაში წერს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა არის არა მარტო დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში, არამედ აგრეთვე ისტორიული მოვლენა, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენს მსოფლიო ისტორიის მთელ მსვლელობაზე. მან ერთხელ კიდევ გვიჩვენა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე იდეების დიადი მონაპოვრები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიული დოკუმენტები შეიცავენ სსრ კავშირის ეკონომიური, სახელმწიფოებრივი და კულტურული მშენებლობის ღრმა მეცნიერულ ანალიზს და წარმოადგენენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემდგომი მუშაობის გრანდიოზულ პროგრამას კომუნიზმის აშენების საქმეში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის შედეგებმა, წერს გაზეთი, გამანმტკიცეს ჩვენი ხალხის რწმენა, რომ მისი მართალი საქმე გაიმარჯვებს, რომ სწორია შრომის პარტიის გენერალური ხაზი, რომ გარდუვალია რეაქციული ძალების დაღუპვა ჩვენს ქვეყანაში.

დასასრულ „ნოდონ სინმუნი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ძვირფასი გამოცდილება ხელს შეუწყობს სოციალიზმის საფუძვლების წარმატებით აშენებას კორეის ჩრდილოეთ ნაწილში, რაც კიდევ უფრო დიდ წვლილს შეიტანს ახლისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში.

ი. დიკმანის გამოსვლა მიჩიგანზე ღაიკციგში

ლაიპციგი, 28 თებერვალი. (საკადესი). გუშინ აქ გაიმართა მიტინგი საერთაშორისო საგაზაფხულო ბაზრობის გახსნასთან დაკავშირებით. მიტინგზე, რომელიც მოაწყო დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ, სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ი. დიკმანმა.

ი. დიკმანმა დაწვრილებით ილაპარაკა განვლილი ნახევარი წლის საერთაშორისო მოვლენებზე, რომლებსაც მოჰყვა საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელება. მან აღნიშნა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ქენევის თათბირის დადებითი მნიშვნელობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, განაცხადა მან, მუდამ გამოიჩინ ნათელი და კონკრეტული პროგრამით და წინადადებებით, რომელთა მიზანია გერმანელებს შორის ურთიერთგაგების მიღწევა, გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოება. გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას კი არავითარი კონკრეტული გეგმა არა აქვს ამ საკითხში.

შემდეგ ი. დიკმანი შეეხო კონკრეტულ წინადადებებს, რომლებითაც გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ მიმართა დასავლეთ გერმანიას გერმანიის ორივე ნაწილის დაახლოების მიზნით.

დასასრულ მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კვლავ მტკიცედ ივლის მის მიერ არჩეული გზით, გერმანელებს შორის ურთიერთგაგების მიღწევის გზით, რათა ხელი შეუწყოს გერმანიის გაერთიანებას მშვიდობიან და დემოკრატიულ საფუძველზე.

საბჭოთა კალათბურთელი ქალები ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 27 თებერვალი. (საკადესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყებოდა, გუშინ ოსტრავაში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ქალთბურთელ ქალიშვილთა ნაკრები გუნდების მეორე შეხვედრა.

შეჯიბრება დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 92:71.

„საქართველოს კომუნისტი“ № 2

გამოვიდა და ხელისმოწერილებს დაურიგდა „საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თეორიული და პოლიტიკური ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“ № 2. ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალა:

მოწინავე — საქართველოს კომუნისტებს საბრძოლო ამოცანები; სტატიები: ა. სურგულაძე — სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში; ვ. ესაიაშვილი — ელენინი საქართველოს შესახებ; ი. კოდუა — ელექტროფიკაციის როლის შესახებ სოფლის შეურნეობის შემდგომ განვითარებაში; ბ. ლომთიფანიძე — მშენებლობისა და არქიტექტურის საფიქრალი საკითხები.

პარტიული ცხოვრების განყოფილებაში — ბრიკეთ „საგრეტაკეთ“ მუშაობას — ყოველდღიური ყურადღება“ დაბეჭდილია: პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი უბანი; გ. ოქრაშვილი — მებრძოლი, ქმედითი აგიტაციისათვის; ო. ვადაჭკორია — ცხოვრებასთან მჭიდროდ კავშირში; დ. პაპუაშვილი — პირადი მაგალითის ძალა; რ. გოგიაშვილი — პოლიტიკური აგიტაცია კოლმეურნეობაში; ვ. შაგეფული — შ. ხეთაგური — პარტიის რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფების მუშობა ორი მეზობელი ტს-ის ზონაში.

განყოფილებაში პასუხი შეკითხვებზე — ეკითხებოდა: როგორი ხასიათის დაგალება შეიძლება მიეცეს კომუნისტს?, საკანდიდატო სტაჟი და მისი დანიშნულება.

წერილებისა და კორესპონდენციების განყოფილებაში მოთავსებულია წერილები: ტ. თინიკაძე — დაეგმვის ახალი წესი მოქმედებაში; გ. ზუკაკიშვილი — კოლმეურნეობის ახალგაზრდობა.

კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაში დაბეჭდილია: ნ. ნაკაშიძე — ბრძოლის ბრძოლების ამსახველი დოკუმენტები; ფ. თოდუა — ბ. ბერიძე, ბ. ბერიძე — ლიტერატურის თეორიაში.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1956 წ. 10 მარტს დღის 3 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 3) ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ვახტანგ ტარასის-ძე სიმონია

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Представления полупростых алгебр Ли с двумерными максимальными разрешимыми подалгебрами“.

1956 წ. 14 მარტს დღის 3 საათზე № 93 აუდიტორიაში (უნივერსიტეტის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

კონსტანტინე გიორგის-ძე არჩვაძე

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „სუბიექტის და ობიექტის პრობლემა დიალექტიკურ მატერიალიზმში“.

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

* * *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8).

1956 წ. 13 მარტს დღის 2 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

დავით მიხეილის-ძე თუშაბარამიშვილი

თემაზე: „გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები“.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

მეუღლე მაგდალინა ოჯახით იუწყება დამსახურებული ექიმის

არონ სოფრომის-ძე ჯორბენაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 8 ს. გამოსვენება 1-III, 4 ს. გრიბოედოვის ქ. № 15.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გორდა, **რუსთაველის სახელობის** — პირველი ნაბიჯი, **მარჯანიშვილის სახელობის**— ზვავი, **გრიბოედოვის სახელობის**—პირველი გაზაფხული, **მუსიკალური კომედიის** — თბილისის ცის ქვეშ, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კოკი მეწისქვილე (აბონემენტი № 8, 7 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — ციხფერი და ვარდისფერი (7 ს.), **თოჯინების ქართული** — ბალტი (10 ს.), **ბაირი** (4 ს.), **ფილარმონია** — საესტრადო ორკესტრის კონცერტი გ. გოლდის მონაწილეობით (9 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვის სახელობის კლუბი — გაცრუებული ოცნებები, **კომკავშირელი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — ორი ოკეანის საიდუმლოება, **დიდუბე, კომუნარების ბაღი** — ტახირი და ზუხრა, **კოლმეურნე**— შვილი, **კიროვის სახელობის პარკი** — ტალანტები და თაყვანისმცემლები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — გაზაფხულის ჭირხლი, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — მისამართის ძებნა.

მეუღლე ლავრენტი, შვილები ზაირა, ნელი, ნანა, და მარო, ძმა კირილე ოჯახებით იუწყებიან

გაფო ბესარიონის ასულ ლომიძე-სტვილიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 1, 2, 3-III, 8 ს. გამოსვენება 4-III, 3 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 31 (ლენინის რაიონი).

მეუღლე ნინო, შვილები ბიჭიკო, ციალა, ნუგზარ, და ოლია, ძმები აკაკი, ივანე, დიმიტრი ოჯახებით იუწყებიან

ვლადიმერ ნეხტორის-ძე ხირაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 8 ს. გამოსვენება 1-III, 4 ს. გიორგი წერეთლის ქ. № 16 (26 კომისრის რაიონი).

მოქალაქე **ნანა შალვას ასულმა ცაგარელმა**, მცხოვრებმა ლენინის ქ. № 54, აღძრა სარჩელი ოქვე მცხოვრებ მოქალაქე **გურამ არსენის-ძე ვადაჭკორიასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის პირველი უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ნატალია, შვილები ვანო, მარო, ვალერა, ქეთო, გიორგი ოჯახებით იუწყებიან

დავით ანდრიას-ძე ფურუმაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 8 ს. გამოსვენება 1-III, 5 ს. გოგებაშვილის III შეხს. № 4.

მეუღლე ლიუდი, შვილები შუშანა, ანა, დავით, კარლო ოჯახებით იუწყებიან

იაგორ გიორგის-ძე ულენტის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-III სოფელ სამებაში (ჩოხატაურის რაიონი).

მეუღლე სოფიო, შვილები ეთერ, თამარ, ჯემალ, ძმები პოლიკარპე, ირაკლი, დომინიტე, ანა ოჯახებით იუწყებიან

ნიკოლოზ იორდანეს-ძე იმნაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 8 ს. გამოსვენება 1-III, 5 ს. მერკვილაძის ქ. № 17.

მეუღლე ფაცია, და ლიუცია ოჯახებით იუწყებიან

ჯვები ბესარიონის-ძე დადიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 8 ს. გამოსვენება 1-III, 4 ს. ბინიდან, სამანგულის ქ. № 12.

შვილები ქსენია, ლეონიდე, ივანე ოჯახებით იუწყებიან

ეკატერინე ბესარიონის ასულ ჩხიკვიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-III სოფელ დაბლაციხეში (ჩოხატაურის რაიონი).

შვილები კლავდია, ნინო, თამარ, ბენედიქტე, ნიკოლოზ ოჯახებით იუწყებიან

ქრისტინე თადეოზის ასულ მეტრეველი-გოგრიჭიანის

გარდაცვალებას.

მეუღლე თამარ, და მაშო, შვილი შოთა მახარაშვილი ოჯახით იუწყებიან

ალექსანდრე ოსეფის-ძე ბედელურის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 29-II, 8 ს. გამოსვენება 1-III, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 94.

УЕ 00148